

ISSN 1987-8729

9771987872003

მიხედვეთ მინას; მინა დაგამურებოთ და გაფარინობთ თქვენ!

+ ასონა

ეპიდემიკური საცენტრო

სამართლის-სამსონოებრივ ჟურნალი

№11 (134), 6 ივნისი, 2023



597 70 45 88



„მსოფლიო ტექნიკა“ გთავაზოგთ სლოვაკური კომპანია
აგრო-ელექტრიკას (AGROMEHANIKA) საბაზო-სავენაზე
ტრაქტორების

აგრო მექანიკას ტრაქტორების ცხ.ქაღაგი მირზეობს
30 ცხ.ქაღაგი – 56 ცხ.ქაღაგდე.

ისინი მოხვევას ახორციელებენ სახსარშეცვლილებული
ტრანსმისიონი (ARTICULATED TRANSMISSION),
რაც უზრუნველყოფს კომანატურ და მცირე რაღიცით
ტრაქტორის მოგრძელებას!

მოდელი: AGT 835 STAGE 3A / 26 ცხ.ქაღაგი და
38 ცხ.ქაღაგი

მოდელი: AGT 1060 / STAGE 3A / 56 ცხ.ქაღაგი

დაგვიკავშირდით:

ტელ.: +995595904083

ელ-ფოსტა: info@worldtechnic.ge

მისამართი: თბილისი,

ვახტაგი გორგასლის ქუჩა 51/53

ვებ-გვერდი: <https://worldtechnic.ge/>



**ახალი აგრარული
საქართველო**
AKHALI AGRARULI SAQARTVELO
(New Agrarian Georgia)
ყოველთვიური სამეცნიერო-
საინფორმაციო ჟურნალი.
Monthly scientific-informative magazine
ნოემბერი, 2023 წელი.
№11 (134)

სარედაქციო კოლეგია:
შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),
ნუგტარ ებანიძე, მიხეილ სიხანქე,
ლაშა ავლაძენა, ნექტარ გუგუშვილი,
თამარ სანიკიძე, რუსული გიგმევილი,
ნოდარ ბრევაძე გორგი ბარისაშვილი,
ნატო ჯაბიძე, ლავით ბარუძე,
მალხაზ ხაჩარებეგმევილი (ელ. უწყება agronews.ge-ს კონსულტანტი)
თამარ გუგუშვილი (მედ. კრს. რედაქტორი).
editor of English version Tamta Gugushvili

სამეცნიერო საბჭო:
აკადემიკოსები, მეცნიერებათა
დოქტორები, პროფესორები:
რევაზ განაინობიძე (თავმჯდომარე),
გურამ ალექსიძე, გვია ჯაფარიძე,
ზურ ფუტკარაძე, ნინა ჩხარტიშვილი,
ნუგტარ ებანიძე, პატრი კოლუმბევილი,
ზვალ ბრევგაძე, გული გოგოლი
ელგუჯა გუგუშვილი, ნესტან გუბურვილი,
გოგილა მარგელაშვილი, ანა გულაბანი,
ლევან უჯამაჯურიძე, ადოლ ტექშელმევილი,
ნარ კაკაბაძე, კაკური ქერია, გახა ლაშხი,
ჯამალ კაცატაძე, ნურა მემარიშვილი,
ნიკოლოზ ზაქაშვილი, მახეიძე ჭიჭაფა,
დავით ბოსტაშვილი, რეზო ჯაბიძე,
ოსებ სარჯევლაძე, თეგიძი ჭურაშვილი,
ანატოლი გორგაძე, მურად გარუჩვა,
ზურაბ ლოლაძე, ქაბა კობალაძე.

დააკაბლონა გორგი მასურაძე
ფურნალი ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით.

The journal acts in accordance with
the principles of free press.
© სამეცნიერო უფლება დაცულია.
All rights reserved.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
„ივერიული“
(ციფრული ბაზარობენა)
www.dspace.nplg.gov.ge
ახალი აგრარული სარტყელი
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონში“

გამოცემის მისამართი:
„აგრარული სექტორის
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);
Association of Agrarian Sector Companies (ASCA).

კოდაქციის მისამართი:
თბილისი (0114), გორგასლის ქ. № 51/53
ტელ/�ონ: +995 (032) 2 90-50-00
599 16-18-31
Tbilisi (0114), Gorgasali str. №51/53
www.agronews.ge
ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com

ნოემბერი თავისი მიზანი:

კვერცხის დაცვის (და)

ზოგადად, ეკონომიკური დაცვის

მომავალი კოდერო

4 გეეროლოგიაზე გადის



VENTURE 37

„ნოემბერის უკანასკნელი და სამისი გეეროლოგია“ (SQIL)

5 მარცავის სასიცოცხლო

9 აირობიკი

დამატებით მდგრადი

ზოგადად მიღება იმპორტის

მოსიცივის

9 დაურულ გრუნტი

**12 ნივრის დარგვის ვადები და
გათოვანი**

კარისავლეთ საქართველოში

მარსავარ ზოდებში

14 ნისა და გუჩის სახორცი

13 რა არის დვარცოფი?

14 როგორ გვიცავა

16 ვარერინარული პრენარცები

18 რაც-იმდე

**21 მარცავის დამზადვის
თავისებურები**

23 ლომი

24 ეკალიკი „სიცოცხლის ხა“

**26 მაკაფია - უკალაზე მაგარი
თეოდი...**

წარიგი - ასათი მათოდით
მომზადებულ წარმო ზოგი
კარგად მიღიდება და თითქმის
26 ერთ ლეადა ინახება

ბრინჯი - მოქლე ისტორია,
სახორცები და მოვლა-მოყვანის
ზოგანი

27 გაეთ კითხვა ვარერინარცე?

29 გაეთ კითხვა აგროცომის?

შურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

- ურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის აზალ შედეგებს სოფლის მეურნეობის თეორიულ და გამოყენებით სფეროებში;
- მიღებულ სტატიებს განიხილავს სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო;
- სტატიები მიღება ქართულ, უკრაინულ, რუსულ, ინგლისურ, ენებზე. სტატია გამოქვეყნდება დედნის ენაზე (ქართული რეზიუმის თანხლებით).

სტატიის გაფორმების წესი

- სტატიის მინიმალური მოცულობა 2,5 მაქსიმალური 7 გვერდს, A4 ფორმატი;
- რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან ინგლისურ (აუცილებლად) ენებზე (100-200 სიტყვა);
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. სარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- სტატიის შესავალი, ძირითადი ტექსტი და დასკვნითი ნაწილი;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი (sylfaen) სილფანი, ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, კიდება დაშორება 2,5 სმ.

ქვემოთ დანართის (და, ზოგადად, ეართული დანართის) მომავალი კოლეგიაზე გადის

1999 წლის ლონდონში გახსნილ შურქნისა და დანართის განვითარებისადმი მიმღვინვალ მუდმივობრივ გამოყენება – დანართის ძალაში ვინის მიმღვინვალის – საქართველოს გამოყენების კუთხის ამაღვევებს წარმოერა „მიმღვინვალის აკვანი“. 2013 წლის საქართველო კულტურული მემკვიდრეობის სამშობლოდ იქნა აღიარებული UNESKO-ს მიერ.

ყველაფერი ეს საქმარისი აღმოჩნდა საიმისიდ, რომ მკვეთრად გაიზარდა და აინტერესება ქართული ქვევრისა და ამ ჭურჭელში დამზადებული ლვინის მიმართ. ქართული ქვევრები შეისყიდეს ევროპასა და ამერიკაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. კახური ტიპის ლვინოები დააყენეს მეღვინეობის წამყვან ქვეყნებში და მივიღენ დასკვნამდე, რომ ეს არის დაუანგული ლვინი, რომელშიც არ არის გამოხატული ამა თუ იმ ყურძნის ლვინის ჯიშური არომატი, და მას დაარქევს „ფორთოხლის ლვინო“, ანუ ეს ლვინო მოიაზრეს ე.წ. ყვითელი ლვინოების დაბალ კატეგორიაში.

როგორც მოგეხსენებათ, ქვევრის ლვინის კახური ტექნოლოგიის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ალკოჰოლური დუღილის მიმდინარეობის პროცესში ახდენენ მადუღარი მასის მრავალჯერად არევას, რომლის დროს თეთრი ლვინოები ინტენსიურად იუანგება და მთლიანად იყარება ამა თუ იმ ლვინის ჯიშური თავისებურებანი. მაგალითად, შავნაპადას მონასტრის დაკვეთით ჩვენ ყვარელში გადავამუშავეთ მანავში მოწეული კახური მწვანისა და რქანითელის ჯაშის ყურძნები. მიღებული ლვინოები პრაქტიკულად ერთნაირი იყო თავისი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლებით, მაშინ როდესაც კოლხური მეთოდით იმავე ყურძნებიდან დამზადებული ლვინოები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა მანავის მწვანის სასარგებლოდ.

ნახ. 1 ნაჩვენებია რქანითელის ჯაშის ყურძნის ევროპული, იმერული და კახური ხერხით გადამუშავების შედეგად მიღებული ლვინოების სადეგუსტაციო შეფასებები. ნარმოდებილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საკუთელო ხარისხის ლვინოები მიღება ყურძნის კოლხური (იმერული) ხერხით გადამუშავებისას.

აქვე გვინდა გაფიქსიროთ, რომ კერ კიდევ პრომეროსი (მე-9 საუკუნე ჩვ.წ.ა.) თავის ილიადაში


წერდა: „კოლხები ამზადებენ ცქრიალა და სურნელოვან ლვინოებსო“.

ლვინის დაყენების იმერული წესი გულისხმობს ტკბილის ალკოჰოლური დუღილის პროცესის წარმართვას არა სრულ, არამედ ნანილობრივ (5%) ჭაჭაზე. ამასთან, დურდო იყრება ქვევრები და იმთავითვე იხუფება მჭიდროდ. მადუღარი არედან ნახმირორუანგის ამოსასვლელად სახურავს უკეთდება წვრილი მილი („სასულე“), და ამდენად მადუღარი დურდო არანაირ შეხებაში არ არის ჰაერის უანგბადთან. შედეგად, მიღება ნაკლებად დაუანგული თეთრი ლვინოები.

მაშასადამე, მსოფლიო ბაზარზე ქართული თეთრი ლვინოების კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად უნდა დავუპრუნდეთ წინაპრების მიერ დადგენილ კოლხურ ტექნოლოგიას, იმ განსხვავებით, რომ სასულედ უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე მოწყობილობა – უკუსარქველი.

უცხოელებმა ასევე გულმოდგინედ შეისწავლეს ქართული ქვევრი და დაადგინეს, რომ ქვევრს აქვს ე.წ. ოქროს

სადეგუსტაციო შეფასება, ბალი



ნახ. 1. იმერული (1), ევროპული (2) და კახური (3) ტიპის

ლვინომასალების სადეგუსტაციო შეფასებების შევევრში დაგარგებისას

- 0 – ახლადდადულებული დურდოს ლვინომასალა;
- I – დაგარგების 1 თვის შემდეგ;
- II – დაგარგების 2 თვის შემდეგ;
- III – დაგარგების 3 თვის შემდეგ;
- IV – დაგარგების 4 თვის შემდეგ

კვეთი, რის გამო მასში უმჯობესდება ტკბილსა და ყურძნის მყარ ნანილებს შორის მასათაცვლის პროცესი და ის, როგორც ასეთი, წარმოადგენს საუკეთესო საღინი ჭურჭელს. ამჟამად უცხოელების მიერ დამზადებული მიწისზედა ქვევრები შეგიძლიათ იხილოთ ევროპისა და ამერიკის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ღვინის ქარხნებში. ლვინის სამშობლოში კი ისევ მიწაში ჩაფლულ დრომოჭმულ ქვევრებში ვაყენებთ ლვინოებს.

მიწისზედა ქვევრებში ლვინის დაყენება გამორიცხავს შრომატევად სამუშაოებს და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, წითელი ყურძნის გადამუშავებისას იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ გამოვიყენოთ ყურძნის გადამუშავების დელესტაუის პროგრესული მეთოდი.

დღეს ბევრი ანალიტიკოსი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა ქართული ლვინოები გავიტანონთ ძვირადლირებულ ევროპის ბაზარზე, მაგრამ არავინ გვთავაზობს ქართული ლვინოების ხარისხის მაჩვენებლების გაუმჯობესების გზებს, რადგანაც ევროპის ბაზარზე ევროპული ტიპის ქართული ლვინოების ადგილი არ არის.

ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ ქართული ქვევრის თეთრი ლვინოების გზა კოლხურ ტექნოლოგიაზე გადადგინეს, რომ ქვევრს ანაზღაურებს. რაც შეეხება წითელ ლვინოებს,

აქ დღეს არსებული ტექნოლოგია მოითხოვს ძირეულ ცვლილებებს. ლვინის სანარმოებმა უნდა აითვისონ წითელი ყურძნის კომპლექსური და უნარჩენონ გადამუშავების ტექნოლოგია, რომელიც გულისხმის ლვინის მიღებას მხილოდ თვითნადენი ფრაქციის გამოყენებით, ხოლო ნაწები ფრაქციები გამოიყენება ფუნქციური დანიშნულების უალკოჰოლო სასმელებისა და სხვა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, პროდუქტების სანარმოებლად.

ყველაფერი ზემოთემული მიუთითებს იმაზე, რომ ქართული მეღვინეობის განვითარება, ქვევრის სამშობლოში დაგარგების შემთხვევაში არა არა არება, მაგრამ არავინ გვთავაზობს ქართული ლვინოების გაუმჯობესების გზებს, რადგანაც ევროპის ბაზარზე ევროპული ტიპის ქართული ლვინოების ადგილი არ არის. ზემოთ ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ ქართული ქვევრის თეთრი ლვინოების გზა ზე არ არის დაგარგების შემთხვევაში არა არა არება, მაგრამ არავინ გვთავაზობს ქართული ლვინოების გაუმჯობესების გზებს, რადგანაც ევროპის ბაზარზე ევროპული ტიპის ქართული ლვინოების ადგილი არ არის.

წლიდან ასუბსიდირებს. სუბსიდირების ძირითადი პირობა ის არის, რომ საწარმომ უნდა შეისყიდოს რქანითელისა და კახური მწვანის ჯიშის ყურძნები არანაკლებ 1000 ტონის ოდენობით. კახური მწვანის ჯიშის ყურძნის ღვინო თავისი ორგანო-ლეპტიკური მაჩვენებლებით ტოლს არ დაუდებს მსოფლიოში დღეს არსებულ ნების-მიერ თეთრ ღვინოს, და ამდენად ამ ჯიშის ყურძნის სუბსიდირება ნამდვილად გამართლებულია. რაც შეეხება რქანითელის ჯიშის ყურძნებს, აქ უნდა მოხდეს იმ საწარმოების სტიმულირება, რომლებიც მოახდენ ყურძნის გადამუშავების ინოვაციური ტექნოლოგიის შექმნასა და წარმოებაში დანერგვას. სწორედ ასეთ ტექნოლოგიას წარმოადგენს ამ სტატიაში აღნერილი კოლხური ტიპის ღვინის წარმოების ტექნოლოგია.

მეღვინეობის დარგის ინოვაციური განვითარება მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების დამუშავებით არ შემოიფარგლება. მთავარია ქვეყანაში დამკვიდრდეს ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და წარმოებაში დანერგვის თანამედროვე ორგანიზაციულ-სამართლებრივი მექანიზმი.

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპი ხსიათდება იმით, რომ სახელმწიფო აღარ თვლის თავისა განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სფეროდ სამეურნეო საქმიანობის ბევრ სახეობას და მათ შორის, პირველ რიგში, ინოვაციურ სექტორებში, რომლებიც ტრადიციულად მის განკარგვაში იმყოფებოდა. მეორეს მხრივ, მრავალი ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სახელმწიფო ბიუჯეტში არ მოიპოვება სახსრების საჭირო მოცულობები, ზოგჯერ კი კეთილი ნებაც, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უბრალო, და მით უფრო, გაფართოებული საინოვაციო და ინწრასტრუქტურული კვლავნარმოება. ამ პირობებში მთელ მსოფლიოში გამოიყენება საჯარო-კერძო პარტნიორობის (სკო) კონცეფცია.

საჯარო-კერძო პარტნიორობა მიზნად ისახავს ბიზნესის მოზიდვას სახელმწიფო საკუთრების სფეროში. ასეთი პარტნიორობის მიზანია სახელმწიფო საკუთრების განვითარება სახელმწიფოსა და კერძო ბიზნესის ძალისხმევისა და რესურსების გაერთიანების ხარჯზე. სახელმწიფო ამ დროს თავის-თვის იტოვებს კონტროლისა და რეგულირების ფუნქციებს, რომლის მიზანია პროცესებს მიეცეს ორგანიზებული ხასია-



სურ. 1. მინის ზედა ქვევრები ევროპასა და ამერიკაში

თი, მოაწესრიგონ ეკონომიკური სუბიექტების მოქმედები, უზრუნველყონ კანონების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა.

მეღვინეობის დარგის ინოვაციური განვითარება მოითხოვს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ყველაზე გავრცელებული ფორმის – ტექნობარების შექმნას. ტექნობარები წარმოადგენს მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციის თანამედროვე ფორმას (იხ. ქვეთ მოყვანილი ნახაზი), რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერული სიახლეების შექმნასა და წარმოებაში დანერგვას.

ტექნობარების შექმნის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შექმნის აუცილებლობის შესახებ საქართველოს კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში ჩვენ მოვახსენეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. პრემიერ-მინისტრის შესაბამისმა სამსახურებმა იპრეატიულად განი-ხილეს ჩვენს მიერ დასმუ-

ლი საკითხი და შესაბამისი წინადადების წარმოსადგენად გადასცეს 2022 წელს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელსაც დღემდე არ გამოიუთქვამს თავისი მოსაზრებები ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინსტიტუტის მიერ შემუშავებული დოკუმენტი – მეცნიერებისა და განათლების განვითარების სტრატეგია კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში – განსახილველად და წინადადების წარმოსადგენად გადასცა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, რომელმაც ჯერ კიდევ 2021 წელს განიხილა და მოიწონა საკითხი საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე აგროტექნიკარების შექმნის აუცილებლობის შესახებ, მაგრამ დღემდევე მოახერხა ეცნობებინა ამის შესახებ ზემდგომი ორგანოებისათვის. კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე აგროტექნიკარების შექმნის აუცილებლობის საკითხი ასევე განიხილა და მოიწონა საქართველოს ეროვნულმა აკადემიამაც.

ერთადერთ გზად აღნიშნული ატელეულური საკითხის გადასწყვეტად გვრჩება საქართველოს პარლამენტი, სადაც ვაპირებთ განვიხილოთ აღნიშნული საკითხი მეცნიერებისა და დარგის სპეციალისტების მონაწილეობით და მივიღოთ ქვეყნის ინტერესების შესაბატყვისი გააწყვეტილება.

ნუზგარ ბალაზირიძე,
კვების მრეწველობის
სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი,
აკადემიკოსი



მცენარის სასიცოცხლო პირობები

ყოველი კულტურის მოსავლის მოყვანა ეძყარება უაღიზველოვანები ბიოლოგიური კანონის – ორგანიზმის და გარემო პირობების ერთიანობის ფოდინას და გამოყენებას. ფერმერის ძირითადი აღმაფნა იმისათვის, რომ მიღწეოს გაღმალი მოსავალი არის მცენარის მოთხოვნილებების დაპარაზიტულება. ყოველ მცენარეს განსხვავებული, მისოვთვის დამახასიათებელი მოთხოვნილები აქვს გარემო პირობების მიმართ.

აქვე უნდა განვასხვავოთ ერთ-მანეთისაგან გარემო პირობები და სასიცოცხლო ფაქტორები. მცენარისათვის აუცილებელი სასიცოცხლო ფაქტორებია: სითბო, სინათლე, ჰაერი, მინერალური ნივთიერებები (საკვებები). ამ ფაქტორებს მცენარები დებულობენ კოსმოსიდან, ატმოსფეროდან და ნიადაგიდან. ერთერთი ფაქტორის არ არსებობის შემთხვევაში მცენარე ვერ იარსებებს. მცენარეზე გავლენას ახდენენ არა მარტო სასიცოცხლო ფაქტორები, არამედ გარემო პირობებიც, რომელიც უფრო ფართე ცნებაა და არის ერთიანობა ცოცხალი და არაცოცხალი ფაქტორისა: კოსმიური, ატმოსფერული, ნიადაგური (ნიადაგური ხსნარის რეაქცია-PH, სახნავი ფენის შენება), ფიტობიოლოგიური (მავნებლები, დაავადებები, სარეველები), ადამიანური, აგროტექნიკური. თავის მხრივ მცენარეებიც მოქმედებენ გარემოზე.

გარდა იმისა, რომ მცენარეული საფარი არის უანგბადის წყარო დედამიწაზე, მცენარეების ნარჩენები ნიადაგში აგროვებენ ორგანულ ნივთიერებებს, რაც იწვევს ნიადაგის წყლის, მიკრობიოლოგიურ და სხვა რეჟიმების ცვლილებას.

სინათლე

დედამიწაზე არსებული ყველა ცოცხალი ორგანიზმიდან მხოლოდ მცენარეს შეუძლია შეითვისოს მზის სხივის კონეტიკური ენერგია და გარდაქმნას ივი პოტენციურ ნერგიად.

სინათლის ენერგია უშუალო კავშირშია მცენარეში მიმდინარე ფოტოცისინთეზთან. ფოტოცისინთეზი კი არის ნახშირორუანგის, ნელის და მზის ენერგიის საშუალებით ორგანული ნივთიერების წარმოქმნა.

ეს პროცესი მიმდინარეობს მრავალი ფერმენტის მონაწილეობით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობისათვის გადამწყვეტ როლს თამაშობს სინათლის ინტენსივობა, დღის ხანგრძლივობა. მცენარის დამოკიდებულება მზის ხანგრძლივობის მიმართ (კნობილია ფოტოპერიოდიზმის სახელწოდებით).

კულტურათა ერთი ჯგუფი ყვავილობასა და მსხმიოარობისთვის საჭიროებს 16-18 საათიან დღის ხანგრძლივობას (კარტოფილი, ხახვი, სტაფილო, ხორბალი, შვრია, ჭვავი) და ესენი არიან გრძელი დღის მცენარეები. მეორე ჯგუფი კულტურებისა

(ლობიო, კიტრი, კომბოსტო, სიმინდი) ნორმალურად ვითარდება მხოლოდ მოკლე დღის -10-12 საათიანი განათების პირობებში. არის ასევე ნეიტრალური მცენარეები, რომელთა განვითარებაზე არ მოქმედებს დღის ხანგრძლივობა (წინიბურა, პამიდორი). მაქსიმალური მოსავლის მისაღებად საჭიროა ოპტიმალური სტრუქტურის ნათესები, რომლებიც უფრო სრულად შთანთქავენ და იყენებენ მზის ენერგიას. მზის ენერგიის შთანთქმის ორგანოებს კი ფოთლები წარმოადგენენ.

სინათლის გარეშე მცენარე ცუდად იზრდება და ნორმალურ პროდუციას არ იძლევა. დაუჩრდილავ ადგილებზე მოყვანილი ბალახის თივა მეტ ცილებს შეიცავს, შაქრის ჭარხალი მეტ შაქარს, მარცვლეული მეტ ცილებს, კარტოფილი მეტ სასამებელს, მზესუმზირა მეტ ცხიმს აგროვებს-ვიდრე ჩრდილში. მწვანე მცენარეში ფოტოცისინთეზი იწყება დილით გარიურაჟზე, კულმინაციას აღწევს შუადლეზე და საღამოს ისევ მცირდება. მოსავლიანობის ერთერთი პირობაა ფოტოცისინთეზური მოქმედების ამაღლება. ეს კი შესაძლებელია მწვანე ზედაპირის განათებულობის რეგულირება. განათებულობის რეგულირება შესაძლებელია აგროტექნიკური ღონისძიებებით, როგორიცაა:

1. თესვის ნორმის და დგომის სიხშირის სწორი გაანგარიშება.

2. ნათესში მწვრივების მიმართულება ქვეყნის მხარეების მიმართ.

3. თესვის წესის შერჩევა.

4. სარეველა მცენარეთა დროული მოცილება.

5. შუალედური კულტურების თესვა, რაც იძლევა მზის სხივების ენერგიის დაგროვების საშუალებას.

სითბო

მცენარეში ფიზიოლოგიური პრცესები (ფოტოცისინთეზი, ზრდა-განვითარება, კვება, სუნთქვა,) მხოლოდ სითბოს გარკვეულ პირობებში მიმდინარეობს. სითბოსადმი მოთხოვნილება განსხვავებულია არა მარტო სხვადასხვა კულტურისათ-



ვის, არამედ ერთიდაიგივე მცენარი-სათვის მისი განვითარების სხვადას-ხვა ფაზაში.

მცენარის განვითარების ყოველ ფაზაში გამოყოფენ ამ ფაზისთვის მინიმალურ, ოპტიმალურ და მაქსიმა-ლურ ტემპერატურას. მაგ. მცენარის ზრდა-განვითარების ფაზაში არჩე-ვენ მინიმალურ ტემპერატურას, რო-ცა ფიზიოლოგიური პროცესები ძლი-ერ ნელღება.

ოპტიმალურს, რომლის დროსაც მცენარის ზრდა-განვითარება ნორ-მალურად მიმდინარეობს და მაქსი-მალურს, რომლის ზემოთ მცენარე ამცირებს პროდუქტიულობას და ილუპება კიდეც. აქტიურ ტემპერა-ტურათა ჯამს უწოდებენ, საშუალო დღე-ლამურ ტემპერატურათა ჯამს იმ პერიოდში, როცა ტემპერატურა აღმატება 10°C . ამის მიხედვით გა-მოყოფენ ცივ, ზომიერ და თბილ აგ-როკლიმატურ ზონებს. არსებობს აგრეთვე ცნება – „ნიადაგის ტემპე-რატურა“.

ნიადაგის ტემპერატურის ზრდა-თან ერთად მცენარის ზრდა-განვი-თარება ჩქარდება. გარდა ამისა სით-ბოს გარკვეული რეჟიმი ესაჭიროება არა მარტო მცენარეებს, არამედ ნია-დაგში მოსახლე მიკროორგანიზმებ-საც. ამ მიკროორგანიზმებს ცუდად გადააქვთ დაბალი ტემპერატურა, აჩერებენ თავიანთ ცხოველმყოფე-ლობას. ასევე ძალზე ცუდ გავლენას ახდენს მათზე მაღალი ტემპერატუ-რა. ნიადაგის მიკროფლორისთვის ოპტიმალურია $15\text{-}20^{\circ}\text{C}$.

ზონები კულტურები

ცივი ზონა (აქტიურ ტემპერატურა-თა ჯამი = 12000) ბარდა, ადრეული კარტოფილი, კომბოსტო, ხახვი ქერი, შვრია (ადრეული)

ზომიერი ზონა (აქტიურ ტემპერა-ტურათა ჯამი = $1200\text{-}14000$) თავ-თავიანი მარცვლეული, სამარცვლე პარკოსნები, კარტოფილი, სელი ასე-ვე სითბოსადმი შედარებით მაღალი მოთხოვნის კულტურები – სიმინდი, ბრინჯი, შაქრის ჭარხალი...

თბილი ზონა (აქტიურ ტემპერატუ-რათა ჯამი = $4000\text{-}80000$) ბამბა, ჩაი, ციტრუსები...

ნიადაგის ტემპერატურა დამკი-დებულია მზისგან შემოსული სით-ბოს რაოდენობაზე. აგრეთვე ნიადა-



გის თვისებებზე – თბოტევადობაზე, თბოტევამტარობასა და სითბოს გაცე-მაზე. მზესთან ერთად ნიადაგში არ-სებობს სითბოს სხვა მცირე წყაროც – მიკროორგანიზმთა ცხოველმყო-ფელობიდან ორგანულ ნივთიერება-თა დაშლის პროცესში გამოყოფილი სითბო.

ნიადაგის თბური რეჟიმის რეგული-რების მეთოდები განსხვავებულია სხვადასხვა ზონაში. მაგ. მთიან ზო-ნაში აგროტექნიკის ყველა ხერხი მი-მართულია ნიადაგის ტემპერატურის ამაღლებისკენ, დაბლობში კი პირი-ქით. ადრე გაზაფხულზე დაფარცხვა და გაფხვიერება აძლიერებს ნიადა-გის გათბობას. ჰაერი. როგორც ყვე-ლა ცოცხალი ორგანიზმი, მცენარე სუთქავს – მოიხმარს უანგბადს და გამოყოფს ნახშირორჟანს. ამ დროს მიმდინარეობს უანგვითი რეაქციები, რომელთა შედეგად თავისუფლდება დაგროვილი ენერგია ისეთი მნიშვ-ნელოვანი პროცესისათვის, როგო-რიცა ზრდა, გამრავლება და სხვა.... უანგბადი ასევე საჭიროა ფესვთა სისტემისათვის. ნახშირორჟანი სა-ჭიროა ფოტოსინთეზისათვის. ნახ-შირორჟანი უანგბადის წყაროა მცენარეში ორგანული შენაერთების ნარმოსაქმნელად ფოტოსინთეზის დროს.

ნახშირორჟანის შემცველობა ჰა-ერში დაახლოებით $0,03\%$ -ია, ხოლო ფოტოსინთეზი იწყება $0,008\text{-}0,001\%$ – ის კონცენტრაციის დროს.

კულტურათა მოთხოვნა ნიადაგის ჰაერზე სხვადასხვაა. მაგ. ყველა-ზე მომთხოვნი ამ თვალსაზრისით არის ძირვენები და ტუბერიანები, პარკოსნები და ზეთოვანები. ნაკლე-ბად მგრძნობიარე მარცვლოვანები, რომლებიც ნანილობრივ ამარავებენ

ფესვებს ღეროს სიღრუეში არსებუ-ლი ჰაერით. ჰაერის უანგბადს საჭი-როებენ ნიადაგის მიკროორგანიზ-მებიც, რომლებიც ნიადაგში შლიან მცენარეულ ნარჩენებს. უანგბადის გარდა ზოგიერთ მიკროორგანიზმს ესაჭიროება ჰაერის აზოტი, რომელ-საც ისინი გარდაქმნიან ორგანულ აზოტად. მაგ. კოურის ბაქტერიებს სჭირდებათ ჰაერის აზოტი. სამარც-ვლე პარკოსნები კოურის ბაქტერი-ებთან სიმბიოზის მეშვეობით მოიხმა-რენ ჰაერის აზოტს.

ცყალი

მცენარის ცხოველმყოფელობა და-მკიდებულია წყალზე. თესლის გა-ჯირჯვებისთვის, მასში არსებული მშრალი ნივთიერების ჩანასახისათ-ვის შესათვისებელ ფორმაში გადა-სასვლელად სხვადასხვა მცენარეს სხვადასხვა რაოდენობით წყალი(%) თესლის მასასთან მიმართებაში) სჭირდება. ეს კარგად ჩანს შემდეგ ქვემოთ მოცმულ სქემაში.

ცყალის მოთხოვნა თესლის გაჯირჯ-ვებისთვის

კულტურა ცყალის რაოდენობა (%):


ფეტვი, სიმინდი – 40%;

ხორბალი 50-%;

სელი, ბარდა 100-%;

შაქრის ჭარხალი 120-%.

თვითონ მცენარეში წყალი შედის თესლში ($10\text{-}20\%$), ღეროში (59%), ძირვენებისა და ტუბერებში ($80\text{-}85\%$). წყალი მონაწილეობს ფოტო-სინთეზში და მცენარეში მიმდინარე სხვა პროცესებში. ამავე დროს ზრდა-განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მცენარეს სხვადასხვა მოთხოვნი-ლება აქვს წყალზე. წყლისადმი კრი-



ტიკული პერიოდებია: თავთავიანებისთვის – ალერებიდან დათავთავებამდე; სიმინდისათვის – ყვავილობა – სიმწიფის პერიოდში; მზესუმზირისთვის – კალათის წარმოქმნის პერიოდში; კრიტიკულ პერიოდებში წყლის ნაკლებობისას მცენარე მკვეთრად ამცირებს პროდუქტულობას. მცენარის ფოთლების მიერ წყლის აორთქლებას ტრანსპირაცია ეწოდება. ეს პროცესი დამოკიდებულია განათებულობაზე, ტემპერატურასა და ტენიანობაზე. ტრანსპირაციის კოეფიციენტი (ტკ) კი არის წყლის ის რაოდენობა (გ), რომელიც იხარჯება 1გრ. მშრალი ნივთიერების წარმოქმნაზე. ყველაზე მაღალი ტრანსპირაციის კოეფიციენტი აქვს მრავალწლიან ბალახებს, ყველაზე ცოტა -ფეტვნაირ პურეულებს.

ტრანსპირაციის კოეფიციენტს გარკვეულ ზღვრებში მნიშვნელოვნად ამცირებს სასუქები. მაგ. საკვები ნივთიერების უკმარისობი დროს შერის ტკ -483-ია, ხოლო საკვებით უზრუნველყოფისას -372. ამიტომ, საკვებით უზრუნველყოფილი კულტურები უფრო ეკონომიურად ხარჯავენ წყალს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს გვალვიანი მინათმოქმედების რაიონებისათვის. ტენისაღმი მოთხოვნილების მიხედვით ბოსტნეული კულტურები შეიძლება დაიყოს: წყლისადმი მომთხოვნ კულტურებად, როგორიცაა კიტრი, ხახვი, ბადრიჯანი, პამიდორი, წინაკა და ნაკლებ მომთხოვნი კულტურები – კარტოფილი, სტაფილო, ლობიო, ჭარხალი.

წყალი ასევე ესაჭიროება ნიადაგის მიკრორგანიზმებს. მშრალ ნიადაგ-

ში ბიოლოგიური პროცესები ნელდება. წყდება ორგანული ნივთიერებების დაშლა. მიკროორგანიზმები კარგად ვითარდება ნიადაგის 60% ტენიანობის დროს.

საქართველოს ტერიტორიაზე მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი მოქცეულია გვალვიან-სარისკო მინათმოქმედების ზონებში, სადაც მოურნყავად შეუძლებელია კულტურათა ნორმალური მოსავლის მიღება. ატმოსფერული ნალექები ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბრად მოდის როგორც რაოდენობის, ისე დროის მიხედვით.

ყოველივე ეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრად გამოხატულ ზონალურ ხასიათს განაპირობებს. საქართველოს ტერიტორიაზე გამოყოფილია 6 ერთმანეთისგან განსხვავებული ზონა:

1. სუბტროპიკული ზონა

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 4000-ზე აღემატება, ხოლო ნალექების წლიური საშუალო ჯამი 1500-2500 მმ-ის ფარგლებშია. ზონა თაგის მხრივ ტენის რაოდენობის მიხედვით 2 ქვეზონად იყოფა: სუბტროპიკულ ტენიან და სუბტროპიკულ მშრალ ქვეზონად. ნოტიო სუბტროპიკული ზონა რამდენიმე ქვეზონისგან შედგება: ციტრუსების, ჩაის, სიმინდის, დაფნის, ხურმის და კარტოფილის.

2. თბილი ზონა

სადაც აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3500-4000°C შეადგენს. ნალექების რაოდენობა 500-700მმ. აქ 6 ქვეზონაა:

კაზის (კახეთი, იმერეთი); კონტინენტური მეზილების (ქართლის ვა-

კე, კახეთი, მესხეთი), თეთრი დოლის პური (ქართლის ვაკე), შაქრის ჭარხალი (ქართლის ვაკე), სიმინდის (კოლხეთის ბარი-ჭალები, ქართლის ვაკე სარწყავი ადგილები); კარტოფილის (დას. საქართველოს დაბლობი ზონა, კოლხეთის დაბლობი, ალაზნის ველი, თბილისის გარეუბნები).

3. ზომიერად გრილი ზონა

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი მერყეობს 2500-3000°C, ნალექების წლიური რაოდენობა 600-1500მმ. აქ არჩევენ ზონებს: ვაზის (ქართლის ვაკე, ბადღათი, ნითელხევი), კონტინენტური მეზილების (ქართლის ვაკის შემაღლებული ნაწილი, მესხეთი და რაჭა-ლეჩხემის დაბლობი ნაწილი), სიმინდის(ქართლი, კახეთი, მესხეთი, იმერეთი), ხორბლის(მთის ქვედა და ზედა სარტყლები) უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში(რაჭა-ლეჩხემი, ზემო იმერეთი), კარტოფილის (ბორჯისი, მარნეული, ახალციხის ვაკე).

4. გრილი ზონა

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 2500-1500°C. ნალექების წლიური რაოდენობა 500-700მმ. კარტოფილი ზონაა. ეს ზონა შედგება ქვეზონებისგან: კარტოფილის (ბორჯომის ხეობა, მესხეთი, დუშეთის რაიონი, თეთრიწყაროს რაიონი, დმანისი).

5. ცივი ზონა

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი -1000-1500°C, ნალექების რაოდენობა 550-650მმ. გავრცელებულია, როგორც მთავარი კავკასიონის, ისე მცირე კავკასიონის მთის კალთებზე. იყოფა 2 ქვეზონად: ჯავახეთის იკას (ახალქალაების პლატო, დმანისი, წალკა) და დიკას (კავკასიონის მაღალმთიანი რაიონი-დუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, სამაჩაბლო, თიანეთის ზედა ნაწილი).

6. ძლიერ ცივი ზონა

აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 10000-ზე ნაკლებია, ნალექების რაოდენობა 1500მმ. ზონა მთლიანად აღპურ საძოვრებს უჭირავს.

ლ. ალექსანდრე

ო. მამიაზავილი

ნ. ჩანაბერძენი

დამატებით მდგრადი უამოსავლების მიღება იმართის მთისწინეთის დაცურულ გრუნტში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები.

თავის მომახმარე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მე-2 კურსის სტუდენტი,

პრეზენტაცია

იმერეთის მთისწინეთის დაცურულ გრუნტში ძირითადად კიტრი ან პამიდორი იწარმოება. სათბურში ეს კულტურები ადგილს, უმეტეს შემთხვევაში, აპრილის მეორე ნახევრიდან იანვრის თვემდე იკავებს, შედეგად 4 თვის განმავლობაში კი ეს სივრცე თავისუფალია და შემოსავალს არ იძლევა. რეგიონის კლიმატური პირობები კი, დამატებითი მდგრადი შემოსავლების მისაღებად, ამ პერიოდის და სათბურის გამოყენების კარგ საშუალებას იძლევა.

ბაზრის შესწავლამ ცხადყო, რომ კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში გათბობის გარეშე ამ მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა კარტოფილის, როგორც მოზამთრე შუალედური კულტურის შესწავლა.

კარტოფილის მოსავლის აღება, საქართველოში ლია გრუნტში ძირითადად ივნისის პირველ დეკადაში ბოლნისისა და გარდაბნის რაიონებში იწყება, ორი კვირით უფრო დაგვიანებით შემოდის საადრეო კარტოფილი იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და კახეთშიც, ასეთი მოსავლის რაოდენობა მცირეა და მოსახლეობა მას ძირითადად თვით უზრუნველყოფისათვის იყენებს. სექტემბერ-ოქტომბერში კი ბაზარს სამცხე-ჯავახეთის მოსავალიც ემატება, რომელიც ამ პროდუქციის და რეპროდუქციული სარგავი მასალის უმსხვილესი მნარმობელი რეგიონია ამიერკავკასიაში.

საქართველოს ბაზარზე საადრეო კარტოფილი მაისშიც ჩნდება, რომლითაც ძირითადად ტურისტული ობიექტები მარაგდება (სასტუმროები, კაფეები, რესტორნები). ეს პროდუქტი, 10-12 ათასი ტონის ფარგლებში, უმეტესად ეგვიპტიდან შემოაქვთ. ერთი კილოგრამი ასეთი პროდუქციის ფასი ქართულ ბაზარზე 5-დან 8 ლარამდე მერყეობს. შედეგად საქართველოდან დიდი რაოდენობით მყარი ვალუტა გაედინება, რაც ლარის სიმყარეზე უარყოფით გავლენას ახდენს.

საქართველოში წარმოებული კარტოფილის ფასი იმპორტულზე 30-35%-ით უფრო ნაკლებია. როგორც კი საქართველოში წარმოებული ახალი მოსავალი გამოჩნდება, ფასიც დასტაბილურებას იწყებს, მოსახლეობისათვის იგი უფრო ადვილად ხელმისაწვდომი ხდება და შედეგად მყარი ვალუტის გადინებაც მცირდება. ამასთანავე, „ახალი კარტოფილი“ მაღლფუჭებადი პროდუქტია და მისი შენახვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული; ჩვენს პირობებში კი ეს პრაქტიკულად შეუძლე-

ბელიცაა სათანადო სასაწყობო ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო.

კარტოფილი საქართველოში მნიშვნელოვან კულტურაა, ის დაახლოებით 25 000-30 000 ჰექტარზე ირგვება. მისი წლიური მოხმარება კი ერთ სულ მოსახლეზე, მიახლოებით, 55 კილოგრამია.

ფოტოპერიოდიზმის თვალსაზრისით კარტოფილი გრძელი დღის მცენარეა და სუპერსადრეო ორგანული კარტოფილის სანარმოებლად სათბურში მიზანშეწონილია ორგანული სარგავი მასალის საადრეო ფორმების გამოყენება. ეს საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ კარტოფილის დარგვის. მოსავლის აღების, რეალიზაციის, ოპტიმალური ვადები. მათი წარმოების ეკონომიკური ეფექტურობა, ზემოქმედება გარემოზე, მდგრადობა და მიზანშეწონილობა.

კვლევის მიზანია კლიმატის გლობალური დათბობის პირობებში ძირითადი კულტურისაგან თავისუფალ პერიოდში ეგვიპტიდან იმპორტირებული სუპერსადრეო კარტოფილის ალტერნატიული, ორგანული კარტოფილის მდგრადი წარმოება გათბობის გარეშე და ამ გზით დამატებითი შემოსავლების მიღება. კვლევის ამოცანები მოიცავდა

1. იმის გარკვევას თუ რამდენად მდგრადია ფოტოპერიოდიზმის (გრძელი დღის მცენარე) თავისებურებებიდან გამომდინარე საადრეო კარტოფილის ორგანული სარგავი მასალის წარმოება დახურულ გრუნტში გათბობის გარეშე ძირითადი კულტურისაგან თავისუფალ პერიოდში (დეკემბერი-აპრილი);

2. დახურულ გრუნტში მოზამთრე შუალედური კულტურის სისტემაში კარტოფილის ზრდა-განვითარების ფაზებისა და მოვლის კალენდარული ვადების დადგენას; 3. მოსავლის აღებისა და რეალიზაციის შეფასებას

4. სათბურში სუპერსაადრეო კარტოფილის წარმოების მდგრადობის ანალიზს.

კვლევის ამოცანების გადასაწყვეტად და მიზნის მისაღწევად, ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა ექსპერიმენტული მეთოდი – ცდა.

საკვანძო სიტყვები: სუპერსაადრეო კარტოფილი. თხევადი სასუები. მდგრადი განვითარების მიზნები. დახურული გრუნტი. დამატებითი შემოსავალი.

ძირითადი ტექსტი

ცდით მიღებული შედეგები.

ცდის დროს გამოყენებული კვლევის მეთოდითა, ჩატარების ადგილი, წლები და ეფექტიანობა.

ცდა ჩატარდა 2022 და 2023 წლებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ აჯამეთში. ორივე წელს სათბურში

ნინამორბედი კულტურის კიტრის მოსავლის აღებისთანავე დეკემბრის ბოლო დეკადაში ტარდებოდა ხვნა 20-25 სმ სიღრმეზე და კულტივაცია. სარგავი კვლების ფორმირება და კარტოფილის ჯიშ „კოლეტეს“ დარგვა ტარდებოდა 10 იანვარს 20 * 70 სმ კვების არით. ცდის საერთო ფართობი იყო 200 კვადრატული მეტრი. ცდა ჩატარდა ცელოფნით გადახურულ სათბურში. იხილეთ სურათი 1.



სურათი 1. საადრეო კარტოფილი სათბურში 19 აპრილი 2023 წელი

ნარგაობის გამოკვება ჩატარდა 12 თებერვალსა და 5 აპრილს თხევადი ორგანული სასუქით „ორგანიკა“.

საადრეო კარტოფილის წარმოების პერიოდში მავნებლებისა და დაავადებების ნიშნები არც ერთ წელს არ იქნა აღმოჩენილი. ამის გამო მცენარეთა დაცვის ორგანული საშუალებები არ იქნა გამოყენებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ საადრეო კარტოფილის ჯიშ კოლეტეს ყვავილობა თითქმის არ ახასიათებს. მოსავლის აღება ტარდებოდა 20 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით. მოსავლის რაოდენობამ შეადგინა 300 კგ. ეს რაოდენობა ჰქექტარზე გადაანგარიშებით შეესაბამება 15 ტონას.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ კარტოფილის ფოტოპორიზმი საშუალებას იძლევა, სათბურში ინარმოოს კარტოფილის სუპერსაადრეო მოსავალი 10 იანვრიდან 1 მაისამდე 4 თვის სავეგეტაციო პერიოდში.

აღსანიშნავია, რომ საადრეო კარტოფილი მაღლუჭებადი პროდუქტია და ამიტომაც მიღებული პროდუქციის რეალიზაცია წინასწარ შედგენილი მარკეტინგული ღონისძიებების შესაბამისად, მოსავლის აღება დაფასოებისთანავე ხორციელდება. ერთი კილოგრამის საშუალო ფასმა პირდაპირ სათბურიდან რეალიზაციის შემთხვევაში შეადგინა 5 ლარი.

სუპერსაადრეო, ორგანული კარტოფილის წარმოების მდგრადობის ანალიზი.

სათბურში სუპერსაადრეო კარტოფილის წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1:

სათბურში მოზამთრე, სუპერსაადრეო კარტოფილის წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი (ლარი).

საადრეო კარტოფილის წარმოების ხარჯები 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით (ლარი)		
რეპროდუქციული (პირველი) სარგავი მასალა. კგ	2500 -	
სარგავი მასალის ღირებულება	2 500	
ნიადაგის მოხვნა	180	
კულტივაცია	150	
დარგვა ხელით	500	
თხევადი სასუქი „ორგანიკა“ (ერთი ლიტრი)	6,4	
სასუქით ფესვგარეშე გამოკვება	120	
წვეთოვანი სარწყავი სისტემის მონტაჟი	180	
მორწყვა	150	
მოსავლის ამოღება ნიადაგიდან, დაფასოება, ტომრებში ჩაყრა და რეალიზაცია	2 500	
მოსავალი (კგ)	15 000	
ერთი კილოგრამის სარეალიზაციო ფასი ნაკვეთიდან	5	
მოსავლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	75 000	
სულ ხარჯი	6 286,4	
მოგება	68 713,6	
მოგება წარმოებაში ჩადებულ ერთ ლარზე	10. 93	

ცდის შედეგების ფინანსური ანალიზი ცხადყოფს, რომ რო 6 ნლის საშუალო მონაცემებით სათბურში საადრეო კარტოფილის პროდუქციის მიღებაზე განეული ხარჯი იყო 6 286,4 ლარი, პროდუქციის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 75 000 ლარი, მოგებამ კი 68 713 ლარი. უფრო დაწვრილებითი ანალიზი კი ცხადყოფს, რომ სათბურში სუპერ საადრეო კარტოფილის წარმოებაში ჩადებული ერთი ლარი 4 თვის განმავლობაში 10,93 ლარს იძლევა. ყოველივე ეს სათბურში სუპერ საადრეო კარტოფილის წარმოების მაღალ ეკონომიკურ ეფექტურობაზე, ინოვაციურობაზე და სოციალურ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

გარემოზე თარმოვანის ზემოქმედების შეფასების ანალიზი

სათბურში სუპერსაარეო კარტოფილის წარმოების დროს არც ერთ პერიოდში არ იყო გამოყენებული ქიმიური პრეპარატი. შესაბამისად, გარემოც არ დაბინძურე-

ბულა. ამასთანე, წვეთოვანი რწყვა თითქმის არ იწვევს ნიადაგის ეროვნის, ხოლო სათბური იცავს მის ქვეშ მყოფ ნიადაგს ეროვნისაგან და შესაბამისად ეკოსისტემასაც არ აზიანებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში იმპორტირებული სუპერსაადრეო კარტოფილის ალტერნატიული, ორგანული კარტოფილის მდგრადი წარმოება იმერეთის მთისნინეთის დაბურულ გრუნტში სრულად უპასუხებს გლობალური მდგრადი განვითარების შემდეგ მიზნებს:

1. მიზანი 1-არა სილარიბეს;
2. მიზანი 2-არა შიმშილს;
3. მიზანი 3-ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;
4. მიზანი 9-მრეწველობა ინოვაცია და ინფრასტრუქტურა;
5. მიზანი 13-კლიმატის ცვლილებების შედეგების დაძლევა;
6. მიზანი 15-დედამიწის ეკოსისტემები.

დასკვნა

კვლევის შედეგების ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. მთისნინეთის დაბურულ გრუნტში შესაძლებელია საქართველოში იმპორტირებული სუპერსაადრეო კარტოფილის ალტერნატიული, მაღალკონკურენტუნარიანი ორგანული კარტოფილის პროდუქციის წარმოება და მდგრადი დამატებითი შემოსავლის მიღება.
2. 20-დან 30 აპრილის პერიოდში ჰექტარზე შესაძლებელია სუპერსაადრეო კარტოფილის დაახლოებით 15 ტონის მიღება, ეს მენარმეს საშუალებას აძლევს 4 თვეში მიიღოს 60-70 ათასი ლარი მოგება, ხოლო ერთ დახარჯულ ლარზე მოგება 10 ლარის ფარგლებშია;
3. წარმოება არის ეკოლოგიურად საიმედო, უპასუხებს გლობალურად მდგრადი განვითარების პირველ, მეორე, მესამე, მეცხრე, მეცამეტე და მეთხუთმეტე მიზნებს და მდგრადია

CONCLUSION

Based on the analysis of the research results, we can conclude that:

1. In the closed ground of the foothills, it is possible to produce alternative, non-competitive organic potato products to imported super-early potatoes in Georgia and to obtain sustainable additional income.
2. In the period from April 20 to 30, it is possible to get about 15 tons of super-early potatoes per hectare, this allows the entrepreneur to get 60-70 thousand GEL profit in 4 months, and the profit per spent GEL is within 10 GEL;
3. Production is environmentally sound, responds to the first, second, third, ninth, thirteenth and fifteenth goals of global sustainable development and is sustainable

გამოყენებული ლიტერატურა

1. <https://www.growveg.com/guides/how-to-grow-super-early-potatoes/>-Harvesting super early potatoes
2. <https://www.google.com/search?client=opera&q=frue+kartoffeln+sorten&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>Kartoffelsorten: Die besten 50 Sorten im Überblick-
3. <https://www.plantura.garden/gemuese/kartoffeln/fruehkartoffeln/> Frühkartoffeln: Sorten im Überblick, Anbau & Ernte
4. andro xeTereli-..kartofilis warmoebis agroteqnologia“.<https://gfa.org.ge/wp-content/uploads/2018/11/kartofilis-warmoebis-agroteqnologia.pdf>.
5. <https://www.businessinsider.ge/ka/product/2510>. saadreo qarTuli kartofili daxlebze maisidan gamoCneba, manamde bazarze egypturi dominirebs



ნივრის სამშობლოდ შუა აზია, ავდანეთი და ჩრდილო ინდოეთი ითვლება. საქართველოში ნივრის კულტურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ნიორი ერთნოლიანი კულტურის სახით მოჰყავთ, მისი ფოთლები ვიწროა, გრძელი თასმისგვარი, ფერით – მუქი მწვანე.

ნივრის პროდუქციული ნაწილი ბოლქვია. ფორმით მომრგვალო ან გრძელი, შეიცავს კბილებს, რომელიც დაფარულია თხელი მოთეთრონ-ნაცრისფერი ქერქლით. კბილები ერთი ბოლოთი მიმაგრებულია ძირაკზე, რომლის ქვედა, გახევებულ ნაწილს ეწოდება ქუსლი. კბილების ცხარე გემო და სუნი გამოწვეულია ნივრის ეთერზეთებით. ეთერზეთების შეცველობა დამოკიდებულია თავის მხრივ ბოლქვების მომწიფების ხარისხზე. რაც უფრო მომწიფებულია ბოლქვი, მით უფრო მეტ ეთერზეთებს შეიცავს.

ნივრის დარგვის ვადები და მათი დაცვა

ნიორი მაღად სასარგებლო გოსფნეულია. ის გამოიყენება მიღიცავაში, კულინარიაში. ნიორი დიღი რაოდენობით შეიცავს ჩიტამის, დარიშხანოვან ნივრის რეალურობას, რომელთაც სამარხელო თვისებებიც აძვი. ნიორი გამოიყენება როგორც ანტისეატიკური საშუალება.

ძირითადად არჩევენ

ორ ფორმას:

1. ჩვეულებრივი ნიორი, მსხვილი ბოლქვებით და გვიანი მომწიფებით ვეგეტაციის პერიოდი 110-დან 150-დღემდე;
2. მოვარდისფრო წვრილი ბოლქვებით და ადრე მომწიფებით 90-120დღე.

დარგვის დრო

ნიორი შეიძლება დაირგოს შემოდგომაზეც და გაზაფხულზეც. შემოდგომაზე ნიორს რგავენ, ისეთ პერიოდში, რომ დარგულმა კბილებმა სიცივის დაწყებამდე მოასწროს ფესვების გადგმა, მაგრამ აღმოცენება – ვერა. შემოდგომაზე დარგული ნიორი უფრო მაღალხარისხიანია და კარგ მოსავალს იძლევა, უიდრე გაზაფხულზე დარგული. დარგვის საუკეთესო ვადა ნოემბერია.

საუკეთესო წინამორბედებია კომბინირებული ნივრი, პომიდორი, ნინაკა, ლობიო. ნიადაგის მომზადება იწყება ნაკვეთის გასუფთავებიდან. მაღალი მოსავლის მისალებად 1პა-ზე შეაქვთ გადამწვარი ნაკელი 40-50 ტონა. ნაკელი აუცილებლად გადამწვარი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სიდამპლე გამოიწვიოს. როგანული სასუქის შემდეგ ნიადაგი

უნდა დაიდისკოს, დაიფრეზოს დარგვამდე. კომპლექსური მინერალური სასუქის გამოყენების შემდეგ ნიადაგი კარგად გაფხვირდება და გაიყვნენ 6-8სმ. სიღრმის კვლები, 30-35სმ დაშორებით. ნიორი ირგვება 8-10სმ. დაშორებით, მინის მიყრის შემდეგ მსუბუქად მოიტკეპნება.

გაზაფხულზე აღმოცენებისთანავე ჩატარდება ნიადაგის ორჯერადი გაფხვირება. სარეველების მოცილება, საჭიროების შემთხვევაში მორნყვა და აზოტოვანი სასუქებით გამოკვება. ამონიუმის გვარჯილა 200-250 გრ. 10 კვმ-ზე. მორნყვა უნდა შეწყდეს მოსავლის აღებამდე 20 დღით ადრე.

ნიორი ზიანდება უანგით, ხახვის ბუზით, ტკიბებით და სხვა მავნებელი დაავადებებით.

ნივრის ამიღება ხდება მშრალ ამინდში. ფოთლების შეყვითლება, შეხმობა, ბოლქვის გარეგანი აპკისებრ მფარვი ქერქლების გაჩენა სიმწიფის ნიშნად ითვლება.

ამოღების შემდეგ ხდება ბოლქვებიდან ფორჩების 5-6 სმ. დაშორებით გადაჭრა, ჯილებად ჩამოიკიდება მშრალ ადგილას.

თამარ ვახტანგაშვილის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

საეციალისტი გვირჩევა

აღმოსავლეთი საქართველოში ერთსაუკრძალული გასამოვლენი რეკომენდაციები სისა და გურების სახეობები

ესასაფარი ზონების აღდგენა-აგავნებას სასოფლო სამუშაოები კულტურაზე გვირჩევას თვალსაზრისით გადამცველობა აძვის.

დღეს შემოგთავაზებთ აღმოსავლეთ საქართველოში ქარსაფარ ზოლებში გასაშენებლად რეკომენდებულ ხისა და ბუჩქის სახეობებს.

I ჯგუფი, ქვედა სარტყელი – ზონის დონიდან 500-1000 მეტრამდე

განლაგებულ ზონებში, რაიონები – ხაშური, ქარელი, გორი, ცხინვალი, კასპი.

მდინარეების მტკვრის, არაგვის, ქსნის, ფრონასა და ლიახვის აუზში დასარწყავ ფართობებზე ძირითადი

ზოლების წამყვანი სახეობებია: აღვის ხე, კანადური ვერხვი, ევროპული ნაძვი, გრძელყუნწა მუხა, თელა, ნეკერჩალი, მინდვრის ცაცხვი, იფანი. განვითარებისთვის დამატებით – თუთა, კაკალი, პანტა, ქვეტყის შემქნელი სახეობებიდან – შინდი, კონკოლი, ტყემალი, ხოლო განაპირა ზოლებისთვის ფშატი.

ურნყავი ფართობზე ძირითადი ზოლების წამყვანი სახეობებია: ქართული მუხა, თელა, მინდვრის ნეკერჩხალი. განივი ზოლებისთვის დამატებით თუთა, და პანტა; ქვეტყის შემქმნელი სახეობებიდან როგორც ძირითად ასევე განივ ზოლებში დასაშვებია – შინდი, ზღმარტლი, ტყემალი; ნაპირებზე – ფშატი და ბერყენა.

II ჯგუფის რაიონები: მცხეთა, სამ-გორი, საგარეჯო, სილნალი, დედოფლისწყარო, მარნეული, ბოლნისი

სარწყავი ფართობები და პირველი ტერასა მდინარეების მტკვარი, არაგვი, ხრამი, ალგეთი, ალაზნის აუზებში ძირითადი ზოლების წამყვანი სახეობებია: ალვის ხე, კანადური ვერხვი, კვიპაროსი, ქართული მუხა, გრძელყუნწა მუხა, თელა, მინდვრის ნეკერჩხალი, ცაცხვი, იფანი. განივი ზოლებისათვის დამატებით თუთა, კაკალი, პანტა. ქვეტყის სახეობებიდან როგორც ძირითადი ისე განივი ზოლებისთვის: შინდი, ჯონჯოლი, ტყემალი, თხილი, ნაპირებზე ბრონეული, ფშატი.

ურნყავი ფართობები ა) 300-500 მ ზ.დ. ძირითადი ზოლების წამყვანი სახეობებია აკაკი, კევის ხე, ქართული ნეკერჩხალი, კვიპაროსები. განივი ზოლებისთვის დამატებით ნუში.

500-1000 მზ.დ. ძირითადი ზოლების წამყვანი სახეობებია: ქართული მუხა, შავი ფიჭვი, მინდვრის ნეკერჩხალი, თელა, კვიპაროსი, იაპონური

სოფორა. განივი ზოლებისათვის დამატებით თუთა და პანტა. ქვეტყის სახეობებიდან ძირითადა და განივ ზოლებში – შინდი, ზღმარტლი, ტყემალი, განაპირა ზოლებში – ფშატი და კვრინჩი.

III ჯგუფის რაიონებში – წალკა, ბოგდანოვკა, ახალქალაქი, ყაზბეგი

სარწყავი ფართობებსა და მდინარეების ფარავანისა და ხრამის აუზების პირველ ტერასებზე ძირითადი ზოლების წამყვანი მცხნარეებია – აღმოსავლური მუხა, კანადური ვერხვი, არყი, კავკასიური ფიჭვი, ევროპული ნაძვი, მაღალმთის ნეკერჩხალი. განივი ზოლებისთვის 1800-1900 მ-ზე დამატებით პანტა. ქვეტყიდან – ჭალაფშატა, ბრონეული, ამორფა, ხეპილპილა, იალღუნი, კურდღლისცოცხა.

ურნყავი ფართობებისთვის ძირითადი ზოლების წამყვანი მცხნარეებია – აღმოსავლური მუხა, მაღალმთის ნეკერჩხალი, არყი, კავკასიური ფიჭვი. განივი ზოლებისთვის – პანტა, ქვეტყიდან – თხილი.

აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში დამლაშებული ნიადაგებისათვის რეკომენდებულია შემდეგი სახეობები: ძირითადი ზოლებისათვის: ელდარის ფიჭვი, თელა, გლედიჩია, იაპონური სოფორა, აკაცია. განივი ზოლებისათვის დამატებით: თუთა, ჭერამი. ქვეტყიდან – ჭალაფშატა, ბრონეული, ამორფა, ხეპილპილა, იალღუნი, კურდღლისცოცხა.



პუნქტი მოვლავი

რა პის ღვარსოფი?

ღვარსოფი გეოლოგიური მოვლენა და ენოდება მთის მდგრადი და დროებით ცხალსაღინარებში, ხევეგში უხეშნატეხოვანი და ქვიშა-დის-პერსიული მასიტ გაჯერებულ (10-70%), უმთავრესად სამოკლე დროის და იღილ სიჩქარის ცხალდებიან და ქვატალახოვან ნაკადს.

საქართველოში ღვარსოფების განვითარების ინტენსივობა და ქვეყნის ეკონომიკისადმი მიყენებული ზარალი მუდმივად იზრდება.

2010-2019 წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა 1248 ღვარსოფის გავლას. დღეისათვის საქართველოში ფიქსირდე-

ბა 3000-მდე ღვარსოფული წყალსადინარი.

რა იწვევს ღვარსოფს?

ღვარსოფის გამომწვევი მიზეზებია:

● ხეობის რთული გეოლოგიური და მორფოლოგიური პირობები;

● ხეობაში წარმოქმნილი მეწყერი და კლდეზვავ-ქვათაცვენა;

● უხვი ატმოსფერული ნალექი, რომელსაც დინამიკური მოპყავს ხეობაში არსებული მყარი ნატანი;

● ადამიანის არასწორი საინჟინრო-სამეცნიერო საქმიანობა.

ღვარსოფული პროცესები რიგ შემთხვევებში მოსდევს მეწყერს!

ღვარსოფის ჩასახვა-გააქტიურების ნიშნებია:

● ღვარსოფულ წყალსადინარებ-



ში წყლის საგრძნობი ამლვრევა და წყლის დონის მატება, ასევე ხმაური ხეობაში;

- მუდმივმოქმედ მდინარეებ-

ში „წყასადინარებში წყლის ნაკადის შეწყვეტა (მეწყრული ან კლდეზეგური პროცესებით ხეობის გადაკეტვის შემთხვევაში).

ღვარცოფის მაღალი საშიშროების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე:

- დაუყოვნებლივ უნდა ახვდეთ წყალსადინარიდან რაც შეიძლება შორს, მაღალ ჰიდროელექტრიულ ნიშნულზე;

● ღვარცოფული პროცესების აქტივიზაციის ხარისხიდან გამომდინარე და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების ორგანიზებით, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს საცხოვრებლის, ასევე სტიქიის ზონის დატოვება.

ღვარცოფული პროცესებით გამოწვეული საფრთხის შემცირება შესაძლებელია!

საჭიროა დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე შემუშავებული ღონისძიებების განხორციელება.

კვლევები ხელს შეუწყობს ღვარცოფული პროცესებით გამოწვეული საფრთხეების შემცირებას.

ადამიანი და ბუნება

როგორ გვიცავთ ვრიცვალები

ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, ჩითაგას ჩათვლით, კვაგითი ჯაჭვის რაოდია. ეპოსისტების ბალანსის შენარჩუნებისათვის თითოვაული რაოდი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ აროვესში ჩარჩო აუცილებლად მოქმედია ადამიანის დაზღვევაზე.

ფრინველთა ზოგიერთი სახეობა გვეხმარება მწერებისა და მლრდნელების პოპულაციების გაკონტროლებაში. სხვა სახეობები პოლინატორებს წარმოადგენენ. სწორედ პოლინატორების დამსახურება ბევრი ყვავილოვანი მცენარის არსებობა. ავრცელებულ მცენარის თესლს. ლეშიჭამიები გვიცავენ სხვადასხვა დაავადებებისაგან.

ადამიანთა კეთილდღეობაში ეკოსისტემების მიერ შეტანილი პირდაპირ და არაპირდაპირ წვლილს ეკოსისტემური სერვისები ენოდება. სწორედ ჯანმრთელი ეკოსისტემაა ჩვენი და მთლიანად მსოფლიოს მომავალი თაობების კეთილდღეობის საფუძველი.

როგორ იქვევენ

ვრიცვალება პოულაციებს?

ფრინველებზე სავალე პირობებში დაკვირვების სამი ძირითადი მეთოდი

არსებობს: დათვლა, ბუდეების მონიტორინგი და მონიშვნა.

ფრინველების დათვლა ყველაზე მარტივი გზაა პოპულაციებში ცვლილებების დასადგენად. მათი წარმოება მარტივია და შედარებით იაფი ჯდება. გადამფრენი მტაცებელი ფრინველების დათვლა ყველაზე მარტივი საიმიგრაციო მარშრუტის სხვადასხვა წერტილებზეა. სხვა შემთხვევაში – ტიხტიხის დროს.

უფრო რთულია ღამით მფრენი და მცირე ზომის ფრინველების მონიტორინგი. თუმცა, ამ სფეროშიც პროგრესია – რადარებისა და მიკროფონების საშუალებით შესაძლებელია მათი იდენტიფიცირება გადაფრენის დროს.

ბუდეების მონიტორინგი რეპროდუქციული წარმატების შესაფასებლად აუცილებელია. ასევე დგინდე-

ბა შობადობის კოეფიციენტი. ამის გარდა, ბუდეებზე დაკვირვება გვაწვდის იმ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიცაა ქცევა ბუდეში, ჰაბიტატის შერჩევა, მტაცებლები. დგინდება კავშირი ამინდსა და ბუდობას შორის, კორელაცია საკვებისა და კვერცხების ზომას შორის და ა.შ.

გაგრძელება მე-19 გვერდზე





„ინკასტირება უკრაგალ და ხაისეინ მასეპონლოგაში“ (SQL)

№11(26), ნოემბერი, 2023 წელი

ვეტერინარული პრევარატი

ვეტერინარული პრევარატი ეს ის ფარმაკოლოგიური, იუზოლოგიური ან გეტაგოლური უფროძლის მოწვევის სისტემის ნივთიერება ან ნივთიერებათა კომბინაცია, რომელიც გამოიყენება ცხოველთა დაავადების დიაგნოსტიკისათვის ან დაავადების სიმატომების აღმოსაზრებულებისას ან დაავადების სიმატომების აღმოსაზრებულებისას, აგრეთვე ცხოველთა სასიცოცხლო და ფიზიოლოგიური ფუნქციების აღსაფარებად ან, და შესაცვლელად. ვეტერინარული პრევარატი იყოფა კლინიკურ-ფარმაკოლოგიური ჯაუზების მიხედვით.

დღეისათვის მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში ბაზარზე განთავსებულია ვეტერინარული პრეპარატების ფართო სპექტრი, რომლებიც თავის მხრივ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან მათი შემადგენლობითა და დანიშნულებით. მესაქონლე ფერმერები ხშირად სათანადოდ არ უკვირდებიან ვეტ. პრეპარატების შემადგენლობასა თუ მის დანიშნულებას და ცხოველის დაავადებისას. შესაძლოა თვითნებურად გამოიყენონ ადრე, თითქოსდა მსგავსი დაავადების სანინაალმდეგოდ ეფექტურად გამოყენებული პრეპარატი, რამაც შესაძლოა პირიქით გააუარესოს ცხოველის მდგომარეობა.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოში ხშირად გამოიყენება ვაქცინები ან სხვა იმუნოლოგიური პრეპარატები (ანატოქსინები, შრატები, იმუნოგლობულინები, იმუნომასტიმულირებელი პრეპარატები), მნიშვნელოვანია ვიცოდეთ სხვაობა ვაქცინასა და შრატს შორის.

ვაქცინა არის სპეციფიკური ბიოლოგიური პრეპარატი, რომელიც მიიღება მიკრობისაგან, ვირუსისაგან, ან მისი ცხოველმყოფელობის პროდუქტებისგან და გამოიყენება ცხოველთა ინფექციური დაავადებების მიმართ აქტიური იმუნიტეტის შექმნის ან მუნინალობის მიზნით. პირველად ვაქცინა მიიღო და ყვავილის სანინაალმდეგოდ გამოიყენა ინგლისელმა მეცნიერმა ჯენერმა 1796 წელს. განასხვავებენ სხვადასხვა სახის ვაქცინებს, როგორიცაა შერეული (ვაქცინა მომზადებული ერთი ან რამდენიმე სახეობის მიკრობისაგან), ცოცხალი (პათოგენური მიკრობის მიკრობისაგან ატენიურებული ან სუსტპათოგენური შტამებისაგან მომზადებული ვაქცინა), ინაქტივირებული (ანუ მკვდარი ვაქცინა, რომელიც მზადდება გაუსნებოვნებული იმუნოგენური მიკრობისაგან), ასევე პოლივალენტური (ერთი და იგივე მიკრობისაგან) მომზადებული ვაქცინა), მონოვალენტური

(ერთი შტამისაგან 14 მომზადებული ვაქცინა) და სხვა.

შრატი – კი არის ბაქტერიული ან ვირუსული ანტიგენებით იმუნიზებული ცხოველის სისხლის შრატი და გამოიყენება ინფექციური დაავადებების სანინაალმდეგოდ პასიური იმუნიტეტის შესაქმნელად. განასხვავებენ სადიაგნოსტიკურ და სამკურნალო-პროფილაქტიკურ შრატებს.


მარტივად რომ ვთქვათ, ვაქცინა გამოიყენება დაავადების პრევენციის მიზნით და ეხმარება ორგანიზმს გამოიმუშავოს კონკრეტული დაავადებების სანინაალმდეგო ანტისხეულები (აქტიური იმუნიტეტი), შრატი კი წარმოადგენს სხვა ორგანიზმიდან მოპოვებულ მზა ანტისხეულებს (პასიური იმუნიტეტი), რომელიც გამოიყენება, როგორც დაავადებულ ცხოველებში სამკურნალოდ, ისე დაავადებაზე საჭირო ცხოველებში და ეხმარება ორგანიზმს დროებით ებრძოლოს დაავადებას, ვაქცინაციამდე. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ვაქცინა აყალიბებს უფრო ხანგრძლივ იმუნიტეტს, ხოლო შრატების გამოიყენებისას იმუნიტეტის ხანგრძლივობა შედარებით ხანმოკლეა და სპეციფიურ შემთხვევებში ვაქცინაციის წინმსწრები პროცესია.

თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია ვეტერინარული პრეპარატების გამოიყენების შესახებ მესაქონლეობის სექტორში, ეწვიეთ ვებგვერდს agronavti.ge – საიდანაც, შესაძლებლობა გენებათ გადმოწეროთ SQL პროექტის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო.

ვებგვერდზე გადასასვლელად, დაასკანერეთ QR კოდი:



ეფუძნებოდეთ მომზადებულია პროექტის „ინექსტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQL) ფარგლებში, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37 ახორციელებს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) პარტნიორობით, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებით.




მოცემული პუბლიკაცია მიმოიხილავს მეცხოველეობის ინდუსტრიაში არსებული პროდუქტების საბაზრო ფასების დინამიკას 2023 წლის ოქტომბრის თვის განმავლობაში, თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრების მასშტაბით. ეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება პროექტის ფარგლებში შერჩეულ ქსელური მარკეტების ფილიალებსა და ადგილობრივ, არაქსელურ მარკეტებში ხორციელდება, ხოლო არაეტიკეტირებულ პროდუქტებზე დაკვირვება - აგრძარულ ბაზრებში. პუბლიკაციაში ასახული ფასები მოცემულია ეროვნულ ვალუტაში.

საშუალო ფასების გამოაწერიშებისას გამოყენებულია საშუალო შეწონილი მეთოდი.


ოქტომბრის თვე / 2023

ეტიკეტირებული და არაეტიკეტირებული იმერული ყველის ფასთა შორის სხვაობა ოქტომბრის თვეში საშუალოდ 6.25 ლარია. ყველაზე მაღალი სხვაობა (**10.7ლ**) ოზურგეთში ფიქსირდება, ხოლო ფასებს შორის სხვაობა ყველაზე ნაკლებია **(3.2ლ)**. სულგუნის შემთხვევაში ეტიკეტირებული და არაეტიკეტირებული სახეობების ფასთა შორის სხვაობა **საშუალოდ 4.24 ლარია.** ყველაზე მაღალი ეს სხვაობა (**11.9ლ**) ბათუმშია, ხოლო ყველაზე დაბალი (**-0.31ლ**) - გორში. ასევე აღსანიშნავია, რომ ახალციხეში არაეტიკეტირებული სულგუნის ფასმა მიმდინარე თვეში ეტიკეტირებულისას **2 ლარით** გადააჭარბა.

იმპერიუმის ფასები



სულგუნი



ოქტომბრის თვე / 2023

ოქტომბრის თვეში მარვნის მინიმალური ფასი **0.4%-ით**, ხოლო მაქსიმალური ფასი **0.1%-ით** შემცირდა. შედეგად, საშუალო ფასი **2.34 ლარი** გახდა.

ეთიკეტირებული მარვნის მაჩსიმალური,
საშუალო და მინიმალური ფასი

2.33 ლ

2.34 ლ

2.35 ლ

მინიმალური

საშუალო

მაჩსიმალური

ოქტომბრის თვე / 2023

ოქტომბრის თვეში როგორც ეტიკეტირებული, ისე არაეტიკეტირებული საქონლის ხორცის ფასმა მცირედით მოიმატა, ყველაზე მეტად ეტიკეტირებული საქონლის ძვლიანი ხორცი **გაძვირდა (+4.4%).** ეტიკეტირებული ხბოს რბილი ხორცი კი **1.6%-ით გაიაფდა,** მაშინ როცა არაეტიკეტირებულის ფასმა **2.8%-ით იმატა.**

ეთიკეტირებული


საქონლის ართალა	0.4 %	19.75 ₷
საქონლის ძვლიანი	4.4 %	22.62 ₷
საქონლის რბილი	2.6 %	28.63 ₷
ხბოს რბილი	-1.6 %	29.30 ₷

არაეთიკეტირებული

საქონლის ართალა	3.4 %	14.71 ₷
საქონლის ძვლიანი	0.8 %	20.58 ₷
საქონლის რბილი	0.0 %	24.03 ₷
ხბოს ძვლიანი	0.2 %	22.21 ₷
ხბოს რბილი	2.8 %	25.15 ₷



ოქტომბრის თვე / 2023

უმეტეს რეგიონში ნედლი რძის ფასები წინა თვესთან შედარებით ოქტომბრის თვეში **უცვლელი დარჩა.** რძის ფასი წინა თვესთან შედარებით **გაიზარდა** იმერეთის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, ხოლო სამეგრელო-ზემო სვანეთში **შემცირდა.** შედეგად, ოქტომბრის თვეში ნედლი რძის საშუალო ფასი **1.63 ლარზე შენარჩუნდა.**



ოქტომბრის თვე / 2023

ოქტომბრის თვეში საქონლის საკვები პროდუქტებიდან თივის (**+3.7%**), იონჯის (**+11.11%**), ხორბლის (**+3.77%**), სიმინდის (**+9.09%**), ქერის (**+5%**) და ქაჭოს (**+8.7%**) ფასებმა მოიმატა. საკვები პროდუქტებიდან ამ თვეში მხოლოდ სილოსი **გაიაფდა (-2.86%)** მცირედით, ხოლო დანარჩენ საკვებ პროდუქტებზე ფასები **არ შეცვლილა.**



რაც-იოლი

„ძრობა იძლევა რძის პირის საშუალებით“ – ფირმა „რებს შორის ფარმად გავრცელებული ეს გამოთქმა გამზარდებულია იმით, რომ რძის წარმოშენის თვითღირებულების 50%-დან 70%-მდე საკვებზე მოძის, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც საძმო რძის ინტენსიურ წარმოშენას მხება.

მერძეული ფურის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა მიმოცვლა (მეტაბოლიზმი) რთული და ინტენსიური პროცესია. მერძეული ფური, რომელიც მცოხნავ ცხოველთა ჯგუფს მიეკუთვნება, საკვების მონელების შედეგად სხვადასხვა მცენარეული საკვები საშუალებების (მწვანე ბალახი, თივა, ჩალა, ნამჯვა და სხვა) გარდაქმნის ხარჯზე გამოიმუშავებს ადამიანისთვის მეტად აუცილებელ, მაღალი კვებითი ლირებულების მქონე პროდუქციას, როგორიცაა: რძე და ხორცი. გამომდინარე აქედან, მერძეულ ფურში გენეტიკურად განპირობებული მაღალი პროდუქტიულობა და საკვების რაციონალური გამოყენება შესაძლებელია საკვებში არსებული საზრდო ნივთიერებების, ბიოლოგიურად აქტიური და მინერალური ნივთიერებების სისტემატიური და რეგულარული მიწოდების საფუძვლზე, როგორც ირკვევა ასეთი რეგულარული მიწოდება შესაძლებებლივ მხოლოდ და მხოლოდ ნორმირებული კვების საშუალებით.

ერძეული ფურის ნორმირების კრებულში უნდა წარმოვიდგინოთ, ორგანული და მინერალური ნივთიერებათა ჯამი, როგორც ენერგიის, ასევე საზრდო, ბიოლოგიურად აქტიური და მინერალური ნივთიერებებისა მიწოდებით, რომელიც დააკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას: 1. არსებობის, 2. მაქსიმალური რაოდენობის პროდუქციის შექმნით, 3. აღნარმოების ფუნქციის შესრულებით და რათემა უნდა ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებით.

ცხოველთა ნორმირებული კვების საკითხის შესწავლისას დადგენილ იქნა, რომ ძირითადი საზრდო ნივთიერებები, როგორიცაა: მშრალი ნივთიერება, მასში შემავალი ორგანული და მინერალური ნივთიერებებით (პროტეინი, ცილა, ნახშირწყალი, ცხიმი, ცხიმოვანი მჟავები, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები) – შეუცვლელი კომპონენტები არიან ფერმენტებისა და პორმონების, რომლებიც თავის მხრივ არეგულირებენ მიმოცვლის (მეტაბოლიზმის) პროცესებს ფურის ორგანიზმში, 9 რაზეც მთლიანადაა დამოკიდებული არა მარტო მისი, როგორც მერძეული ფურის მაღალი პროდუქტიულობის გამოყენება, არამედ ნორმალური სიცოცხლისუნარიანობა.

მაინც რა არის მერძეული ფურის კვების ნორმა? კვების ნორმა არის საზრდო ნივთიერებები და ენერგია, რომელიც საჭიროა მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და შესაბამისია მის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან. უფრო მარტივი გაგებით, მერძეული ფურის კვების ნორმა ეს არის მოთხოვნილება საზრდო ნივთიერებებზე იმ რაოდენობით, რომლის მიწოდების შემდეგ იგი ინარჩუნებს: 1. ნორმალურ კონდიციას, 2. გამრავლების უნარს, 3. ამჟღავნებს მისი ჯიშისთვის ან ტიპისთვის დამახასიათებელ პროდუქტიულობას.

იმისთვის, რომ ფერმერებს გაუმარტივდეთ საკვები რაციონის შედგენა, შQIL პროექტის ფარლებში შეიქმნა ქართულ ენაზე შედგენილი პროგრამა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს დაბალანსოს მერძეული ფურისთვის განკუთვნილი საკვები ულუფა ურთდროულად 20-მდე დასახელების საკვები ინგრედიენტით. მას შემდეგ, რაც პროგრამის მეშვეობით დაბალანსებთ საკვებ ულუფას, საკვების ხარჯებისა და რძის ფასის შეყვანის შემთხვევაში შეგიძლიათ, ასევე გამოთვალოთ რძის შემოსავლის და კვების ხარჯის ნაშთი.

„რაც-იოლი 1.1“ კარგი საშუალებაა დამწყები და საშუალო ზომის ფერმერებისთვის და მარტივად გამოსაყენებელია. პროგრამა შექმნილია ამერიკულ და ევროპულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით.

თუ გსურთ მიიღოთ მეტი ინფორმაცია პროგრამა „რაც-იოლის“ შესახებ, ენვიეთ ვებგვერდს agronavti.ge – საიდანაც, შესაძლებლობა გექნებათ გადმოწეროთ SQL პროექტის ფარგლებში შექმნილი „მერძეული ფურის საკვები ულუფის (რაციონის) გამომთვლელი პროგრამის (რაც-იოლი 1.1)“ სახელმძღვანელო

ვებგვერდზე გადასასვლელად, დაასკანერეთ QR კოდი:



გზამკელევი მომზადებულია პროექტის „ინვესტირება უგნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQL) ფარგლებში, რომელსაც ამერიკული ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37 ახორციელებს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) პარტნიორობით, ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) დაფინანსებით.



გაგრძელება. დახანგისი მე-14 გვ.

ფრინველთა დაჭერა და მონიშვნა საშუალებას გვაძლევს ამოვიცნოთ ის ნებისმიერ ადგილას. ეს მეთოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიგრაციაზე დაკვირვებისას. დარგოლვისას ფრინველს ფეხზე ადებენ რგოლს უნიკალური კოდით. სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ ფერებსაც. და ბოლოს, მათი მონიშვნა სდება ჩქშ და სატელიტური გადამცემებითაც. ასეთი გადამცემით მონიშნული ფრინველის გადაადგილებას შეგვიძლია თვალი ნებისმიერ დროს ვადევნოთ.

რა საფრთხეები ემუქრებათ ფრინველებს?

ფრინველებისათვის საფრთხეებს წარმოადგენს: ინვაზიური სახეობები; მიწათმოქმედება, მშენებლობები, ტყის ჭრა – ჰაბიტატის დაკარგვა და დეგრადაცია; ნადირობა; კლიმატის ცვლილება და ამინდი; დაბინძურება; ელექტროგადამცემი ხაზები; ადამიანების მიერ შეწუხება; თევზჭერა.

მიგრაციისას უამრავი ფრინველი ენირება უკანონო ნადირობას, ქარის ელექტროსადგურების ტურბინებს, ელექტროგადამცემი სადენებს, შუშის შენობებთან შეჯახებას.

ფრინველთა სიკვდილიანობის შემცირების გზებია რეგულაციები ნადირობაზე და კანონის დაცვის უზრუნველყოფა, ქარის ტურბინებისა და ელექტროგადამცემი ხაზების სამიგრაციო მარშრუტებიდან

შორს განთავსება, ელექტროსაზების იზოლაცია, სინათლით დაბინძურების შემცირება მიგრაციის პერიოდში, შუშის შენობებზე არეკვლადობის შემცირება, ფრინველთათვის მნიშვნელოვანი და საბუდარი ადგილების დაცვა.

ფრინველები როგორც გარემოს ჯანმრთელობის ინდიკატორები

ადამიანებმა უამრავი ხელსაწყო გამოიგონეს ეკოსისტემის მდგომარეობის შესამონმებლად. მაგალითად, ჭაობიან ადგილებში წყლის ხარისხის შესამონმებლად, მეცნიერი იყენებს სენსორს, რათა გაიგოს წყალში არსებული ჟანგბადის დონე. ასევე ლაბორატორიული ანალიზით შესაძლებელია დადგინდეს მძიმე მეტალების შემცველობა ნიადაგში. თუმცა არსებობს გზებიც, რომლებიც არ საჭიროებენ ადამიანების მიერ გამოიგონებული ინსტრუმენტების გამოყენებას. ერთ-ერთი ასეთი მეთოდია ფრინველებზე დაკვირვება. მათ ქცევასა და პოპულაციების რაოდენობის ცვლას შეუძლია საკმაოდ ბევრი ინფორმაცია მოგვცეს არსებულ ეკოსისტემაზე და მის პრობლემებზე.

ნებისმიერ ცოცხალ ორგანიზმს, რომელიც გამოიყენება ეკოსისტემის მდგომარეობის შესასწავლად, უწოდებენ ინდიკატორ სახეობას. ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია, იადონის შეყვანა ქვანაშირის შახტაში მუშაობის დროს. იადონები ძალიან მგრძნობიარები არიან კარბონის

მონოქსიდისა და მეთანის მიმართ. მეტად მგრძნობიარენი, ვიდრე ადამიანები. თუ ფრინველის ქცევაში შეინიშნება მონამვლის რაიმე ნიშნები, მეშახტები მიხვდებიან, რომ ამ ადგილზე მუშაობა არაა უსაფრთხო და სასწრაფოდ დატოვებენ მას. ფრინველებზე დაკვირვება ეკოსისტემის მდგომარეობის გამოსაკვლევად გრძელდება, რადგანაც ფრინველებს შეუძლიათ მოგვაწოდონ სასარგებლო ინფორმაცია გარემო ცვლილებებზე.

როგორ ვარჩევთ

ინდიკატორ სახეობას?

პირველ რიგში არჩეული სახეობა სწრაფად უნდა რეაგირებდეს გარემო ცვლილებებზე. სახეობა, რომელიც ნაკლებად რეაგირებს ჰაბიტატში მომზდარ ცვლილებებზე, შესაბამისად ნაკლებ ინფორმაციას მოგვაწვდის.

ინდიკატორი სახეობა უნდა იყოს ფართოდ გავრცელებული და არ უნდა იყოს იშვიათი, რადგან იშვიათ ფრინველებზე დაკვირვება და მათი ქცევის შესწავლა ძალიან რთული და გრძელვადიანი პროცესია.

10 მიზეზი, თუ რატომ არიან ფრინველები ეკოსისტემის შეფასების კარგი ინდიკატორები

● ფრინველების ტაქსონომია კარგადაა ცნობილი და შედარებით სტაბილურია. ფრინველთა სახეობების რაოდენობა ბოლო 10 წელიწადში სულ რაღაც 5-8%-ით გაიზარდა. ხოლო ძუძუმწოვრებისა და ამფიბიების – 15-24%-ით

● ფრინველების გავრცელება, ეკოლოგია და სიცოცხლის ციკლი კარგადაა შესწავლილი. ყოველ წლიწადს ფრინველების შესახებ 16 000-მდე სამეცნიერო სტატია ქვეყნდება

● ფრინველების ინდენტიფიცირება, გამოკვლევა და შესწავლა შედარებით მარტივია. აგრეთვე არსებობს ძელი მონაცემების დიდი ბაზა, უამრავი სახეობის შესახებ

● ფრინველები თითქმის ყველა საარსებო არალში გხევდებიან. არსებობს მსოფლიოში 10 000-მდე სახეობაა გავრცელებული, ერთ ქვეყანაზე კი საშუალად 400 სახეობა მოდის

● ფრინველთა ჰაბიტატისადმი მოთხოვნილება სპეციალიზირებულია

● ფრინველები ხშირ შემთხვევაში კვებითი ჯაჭვის მაღალ საფეხურებზე დგანან. ამიტომ მგრძნობიარენი არიან ეკოსისტემაში მომხდარ ცვლილებებზე

● ფრინველთა პოპულაციების ტენდენციები, სხვა ცხველების ქვერამავლების, ამფიბიების, ძუძუმნოვრების...) პოპულაციების ტენდენციებსაც გამოხატავს

● ფრინველები ეკონომიკურად ძალიან მნიშვნელოვანი არიან, მაგ: ბერდვოჩინგი რომელიც ეკოტურიზმის თანამედროვე მიმართულებად წარმოადგენს.

● ფრინველთა გავრცელება, როგორც წესი, ასახავს ველური ბუნების სხვა წარმომადგენლების გავრცელებასაც (ძუძუმნოვრები, ამფიბიები, რეპტილიები, მწერები და ა.შ.)

● ფრინველები ველური ბუნების გამორჩეული წარმომადგენლები არიან და ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 20% და ბრიტანეთის მოსახლეობის 30% ფრინველებს კვებავს ან აკვირდება.

ფრინველება და მათ საარსებო არეალს მორის მჭირდო დამოკიდებულება, ფრინველებს ძალიან სასარგებლოს ხდის გარემოს შეფასებისთვის. ასეთ დროს ისინი არიან ინდოკატორები, გარემო პირობების

გაუმჯობესებისა თუ გაუარესების. ამით ისინი დიდ სამსახურს უწევენ როგორც საარსებო არეალს, ასევე ადამიანებს.

ფრინველები, როგორც კლიმატის ცვლილების ინდიკატორები

1950-იან წლებში ევერგლეიდში (ფლორიდა, აშშ) დაიწყეს არხებისა და ჯებირების მშენებლობა, რათა შეეცვალათ წყლის მიმართულება. ევერგლეიდში ჭარბტენიანი ადგილების მოყვარული ფრინველებისთვის საბუდარ ადგილს წარმოადგენდა. ფრინველების პოპულაცია კი დამოკიდებულია მათი მსხვერპლი სახეობების (ამფიბიები, რეპტილიები, თევზები და სხვა) რაოდენობაზე.



მშენებლობების დაწყების შემდეგ, მსხვერპლი სახეობების რაოდენობა ძალიან შემცირდა, რამაც გავლენა იქნია მობუდარ ფრინველებზეც. მათი რაოდენობა ევერგლეიდში ყოველწლიურად მცირდებოდა, რის შემდეგაც მეცნიერები მიხედნენ, რომ მშენებლობების დაწყების შემდეგ ადგილობრივი ეკოსისტემის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაშიც ფრინველები გვეხმარებიან, არის დაბინძურების დონის განსაზღვრა. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია ფრინველთა პოპულაციების კლება პესტიციდი „დდტ“-ს გამო, რომელიც საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა.

რეიჩელ კარსონის ნაშრომის „ჩუმი გაზაფხულის“ გამოსვლის შემდეგ ფრინველები იყვნენ პირველი არსებები, რომელთა პოპულაციებმაც დაიწყო კლება. „დდტ“-ს ორგანიზმში დაგროვების შემდეგ მდედრები დებდნენ თხელნაჭუჭიან კვერცხებს, რომლებიც ინუბაციის დროს ტყდებოდა და შესაბამისად ბარტყებსაც ვერ ზრდიდნენ. სწორედ ამიტომ იკლო უამრავი სახეობის პოპულაციამ. მეცნიერებს დიდი წვალება არ დასჭირვებიათ ხალხის დასარწყუნებლად, რომ „დდტ“ მავნებელია ფრინველებისათვის, რადგან ხალხის უმრავლესობა თავადაც ამჩნევდა ფრინველთა მასიურ კლებას.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდნენ აზიელი ლეშიჭამიები. უეცრად მათი სიკვდილიანობა მკვეთრად გაიზარდა. მეცნიერებს 10 წელიწადი დასჭირდათ, რათა გაეგოთ ამ მოვლენის მიზეზი: წამალი დიკლოფენაკოეს პრეპარატი გამოიყენება პირუტყვისათვის, რათა მოურჩინონ ჭრილობები, მაგრამ ტოქსიკურია ლეშიჭამიებისთვის. ფრინველები იკვებებოდნენ საქონლის ლეშით, რომელიც დიდი რაოდენობით დიკლოფენაკოეს შეიცავდა, რის შედეგადაც ფრინველებიც იხოცებოდნენ. ისევე როგორც „დდტ“-ს შემთხვევაში, დიკლოფენაკის გამოყენებაც აიკრძალა და ამოიღეს ბაზრიდან.

შესაძლოა შეგხვედრიათ პატარა ფრინველი სახელად ღობემდვრალა, რომელიც ხშირად ჩვენს ბალებში შეიძლება ვნახოთ. ეს მცირე ზომის არსება ძალიან დიდ ინფორმაციას განვიდის გლობალურ დათბობასთან დაკავშირებით. დოქტორმა სტივენ ვილისმა და დოქტორმა ფილიპ სტივენსმა გამოიკვლიერს ის სახეობა და დადგინდა, რომ ევროპის ჩრდილოეთი ნაწილის (სადაც ზამთარი უფრო ღმობიერი ხდება) პოპულაციები სულ უფრო იზრდება. კონტინენტის სამხრეთ ნაწილში კი, ტემპერატურის მატებასა და ზაფხულის გაუსაძლისობასთან ერთად ღობემდვრალას პოპულაციები შემცირდა.

წყარო: www.sabuko.org

მუნიციპალიტეტის დამტკიცვის თავისებურებაზე

ვაშლის დამტკერვისას უნდა გაით-
ვალისწინოთ, რომ ყველაზე უკეთესი
ხარისხის ნაყოფი მიიღება პირველი
ყვავილებიდან, შესაპამისად უნდა
შეიზღუდოს მომდევნო დღეებში გა-
მონასკვეული ყვავილების დამტკერ-
ვა. ამიტომ 1 ჰა ფართობზე დასამტ-
კერავად შეცყავთ ფუტკრის 2 ოჯახი.

ଓଡ଼ିଆ ଉତ୍ସବାଳୀ

ამ ჯგუფის ბევრ წარმომადგენლს
ახასიათებს პროტეროგინია – ყვავი-
ლის დინგისა და მტვრიანების მომ-
ნიფება სხვადასხვა პერიოდში, რაც
გამორიცხავს თვითდამტვერვას.
ცალკეულ სახეობათა შიგნით არის
შეთავსებადი ჯიშები (ჯიშის შიგ-
ნით დამტვერვის მოხდენა საკუთარი
მტვრით) და შეუთავსებადი ჯიშები
(დამტვერვა უნდა მოხდეს განსხვა-
ვებული ჯიშის მცენარის მტვრით);
ამ ჯგუფის შეუთავსებადი ჯიშების
ეფექტური დამტვერვისათვის პლან-
ტაციაში გაშენებული ძირითადი
ჯიშის 3-4 რიგს ენაცვლება დამმტ-
ვერავი ჯიშის 1-2 რიგი. თუ ეს შე-
უძლებელია, მაშინ ძირითადი ჯიშის
მცენარის ვარჯში არსებული ტოტე-
ბიდან 1-2-ში დამმტვერავი მცენარის
კეირტებს ან კალმებს ჩაამყნობენ;
ფუტკარი ამ მცენარებიდან თაფ-
ლის შეზღუდულ რაოდენობას (25-50
კგ/ჰა) იღებს, მაგრამ ეს ძალზე არსე-
ბითი ოჯახის განვითარებისათვის.

ხილკენეროვან მცენარეთა უმეტე-
სობა ადრე გაზაფხულზე ყვავილობს,
როცა ბუნებაში ვეღური დამტვერა-
ვი მწერები ძალზე ცოტაა. ეფექტია-
ნი ფუტკრისმიერი დამტვერვისათვის
მეფუტკრემ მომზადება უნდა და-
იწყოს წინა წელს, აქტიური სეზონის
ბოლოს, როცა მთავრდება ძირითადი
თაფლოვანი და მტვროვანი მცენარე-
ების ყვავილობა, უნდა გაძლიერდეს
დედა ფუტკრის კვერცხმდებლობა

და შესაბამისად ახალგაზრდა მუშა
ფუტკრის მოზამთრე თაობის მიღება
შემდგი ხერხებით:

ა) თაფლის სასაქონლო პროდუქტების გამოწვევისთანავე, მეცნტკრე ამზადებს შაქრის სიროფს ან ინგერ-სიულ შაქარს წყალთან შეფარდებით 1:1, აგრძელებს ფუტკრის დამატებით კვებას ნახშირნყლოვანი საკვებით: დღეგამოშევებით, საღამო ხანს 250-300 გ სიროფი თითოეულ ოჯახზე;

ბ) საჭიროების შემთხვევაში აძლევს
ფუტკრის ოჯახებს კანდს, ყვავილის
მტვრით გამდიდრებულს, ყოველ 10
დღეში ერთხელ, 1 კგ-ის რაოდენო-
ბით თითოეულ ოჯახზე. ეს პროცესი
გრძელდება 1 თვის განმავლობაში;

გ) სასაქონლო თაფლის გამოწურვის შემდეგ ფუტკრის ოჯახებს ამუშავებს მაღალეფექტიანი აკარიცი-დული პრეპარატებით ტეიპოვანი დაავადებების წინააღმდეგ, ერთ-ერთი ცნობილი სამკურნალო საშუალებით (ვაროკომი, ბიბინი, ვარისტობი და სხვა) პრეპარატზე თანდართული ინსტრუქციის შესაბამისად. მკურნალობა უნდა ჩატარდეს ორჯერ, სანამ ბუდეში არის გადაბეჭდილი ბარტყი. იგივე პროცესი უნდა გამოირდეს ფუტკრის ბუდეში ბარტყის სრული გამოჩეკის შემდეგ (სექტემბრის ბოლო - ოქტომბერი);

დ) დაზიამთრების დროს (ნოემბრის I ნახევარი), ფუტკრის ბუდე უნდა შემ-ჭიდროვდეს ზედმეტი და მცირეთაფ-ლიანი ფიჭების ამონლებით. ბუდეს ზემოდან და გვერდებიდან ათბუნე-ბენ სათბუნებელი მასალის (პალიშე-ბი და სხვა) შემოწყობით.


აღრე გაზაფხულზე, ხილკენჯროვან
მცენარეებზე პირველი ყვავილების
გაჩენისთანავე, საფუტკრე უნდა გა-
დაიტანოთ ბალში, თითოეულ ჰა-ზე
2-3 ფუტკრის ოჯახის რაოდენობით.



**ხილკენკუროვანი მცენარეების დასამ-
ტვერად ფუტკრის გამოყენება**

ამასთან დამტკერავი საფუტკრის
გადატანის ვადები შესაბამისობაში
უნდა იყოს ქიმიური საშუალებებით
მცენარეთა დაცვის ღონისძიებათა
ჩატარების გეგმასთან. ერთ ადგილ-
ზე უნდა დაეწყოს ფუტკრის 45-50
ოჯახი. ნაკლებმიმზიდველი კულტუ-
რების დამტკერვისას მანძილი ჯუ-
ფებს შორის უნდა შეადგენდეს 400-
500მ-ს. თუ დასამტკერავი კულტუ-
რები ფუტკრისათვის მიმზიდველია,
ე.ი. ნექტრის რაოდენობა და მასში
შაქრის შემცველობა კარგია, ეს მან-
ძილი იზრდება 500 მ-მდე.

მცენარის უხვი ყვავილობის დროს
2-3 დღის განმავლობაში უნდა გან-
ხორციელდეს ფუტკრისმიერი დამ-
ტევრვა, რის შემდეგ საფუტკრეს გა-
მოიტანებ. ეს ღონისძიება თავიდან
აყვაცილებს ხეხილის მეწლეურობას
და ზედმეტი ნასკვების გაჩენას, რაც
შემდგომ მაინც უნდა ჩამოცვიდეს.
ზომიერი ყვავილობის შემთხვევაში
ბალში საფუტკრე დატოვეთ ყვავი-
ლობის მთელ პერიოდში. საჭიროების
შემთხვევაში (თუ ფუტკარი გადავი-
და კონკურენტ თაფლოვან მცენარე-
ებზე), საფუტკრე გამოიაქვთ ბალიდან
და შეაქვთ სხვა საფუტკრე, რომელიც
არ არის შეჩვეული ბალს. დამტვერვა
ეფექტიანია, თუ საფუტკრე ეწყობა
ქარისგან დაცულ, მზიან ადგილზე,
იმ ანგარიშით, რომ გამოფრენისას
ფუტკარი შეხვდეს დამტვერვაზე ჯი-
შის მცენარის რიგებს, საიდანაც აღე-
ბულ მტკვარს თასამტკვარავ მცინარეზე



জুন্নাতে মুসলিম সম্পর্ক সংবাদ পত্রিকা

გადაიტანს. თუ ფუტკარი ცოტაა, ან დამტკერავი ჯიშის მცენარეებია ნაკლები, მაშინ მოსავლის რაოდენობა და ხარისხი არადამატებსყოფილობელია.

მსხლის, ალუბლის, გარგრისა და ატმის დამტკერვისას ითვალისწინებენ, რომ ეს მცენარეები კარგად რეაგირებენ ჯვარედინ დამტკერვაზე, ამიტომ ბალში ძირითად კულტურას-თან ერთად გაშენებული უნდა იყოს დამტკერავი ჯიშებიც. 1 ჰა ფარ-თობზე ამ მცენარეთა ჯვარედინად დასამტკერად შეჰქავთ ფუტკრის 2 ოჯახი.

ბლის დამტკერვაში ფუტკრის მონაწილეობა ისევე აუცილებელია, როგორც ალუბლის შემთხვევაში. ყოველ 1 ჰა დასამტკერავ ფართობზე ნორმა შეათვას თუ კრის 2 ოჯახს.

უოლო, მოცხარი, ხურტკმელი და
ნაწილო-უოლო, მოცხარი, ხურტკმელი და ნაწილობრივ ხენდრო რიც
ხენდრო საჭიროებენ ფუტკრისმიერ
დამტკერვას. ჯვარედინი დამტკერვის მაღალი ეფექტიანობისათვის ძი-
რითად კულტურებთან ერთად იყენე-
ბენ შეთავსებადი დამტკერავი მცე-
ნარების გაშენებას.

ამ კულტურების ჯვარედინი დამტკერვისათვის ფუტკრის პლანტაციაში შეჰვყავთ 2-4 ფუტკრის ოჯახი ყოველ ჰა. ვართობზე.

ციტრუსოვანი კულტურების დამტკიცვისას გახსოვდეთ: ამ მცენარეების ჯვარედინი დამტკიცვა უზრუნველყოფის ნაყოფის მოსავლის მნიშვნელოვნების გადასაცემად გამოიყენეთ.

ვნელოვან ზრდას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას, გარდა ფორთობლის ზოგიერთი ჯიშისა, რომელთაც ნაყოფში კურეის გაჩენა აღნინიშნება.

ციტრუსების დამტკერვისათვის პლანტაციაში ფუტკრის 2-3 ოჯახი უნდა იქნას შეყვანილი. ციტრუსებისაგან მიღებული თაფლი განსაკუთრებით მაღალი ხარისხით გამოიჩინა.

ბოსტნეული და ბალჩიული კულტუ-
რების დამტკერვისას უნდა იცოდეთ:

ეს მცენარეები ტიპიური ენტომო-ფილები არიან და საჭიროებენ ფუტ-კრისმიერ დამტვერვას. ბალჩეული კულტურების (საზამთრო, ნესვი, გოგრა და სხვა) ეფექტიანი დამტ-ვერვისთვის ფუტკარმა თითოეული ყავილი 30-ჯერ მაინც უნდა მოინახულოს. ამის შედეგად მიღებული თესლი უფრო მსხვილია, გაღივებისა და აღმოცენების უნარი კი უფრო მა-ღალი.

ბისტნეული და ბალჩეული კულ-
ტურების დამტკერვისათვის თითოე-
ულ ჰა ნათესზე ფუტკრის ნორმა 1-2
ოჯახია.

ଶାକପାଇଁ ଏବଂ ମାନତ୍ୱବ୍ୟାପ୍ତିରେ ପୁଣିତିଶ୍ଵରରେଣୁ ଏବଂ ଅତିଶ୍ୱରତା

ეს კულტურები თვითდამტკვერვა-
დია, მაგრამ ჯვარედინი დამტკვერ-
ვის დროს მათი თესლის მოსახლი
მკვეთრად მატულობს.

ნითელ სამყურას ახასიათებს ყვა-
ვილის გვირგვინის გრძელი მიღაკი,
რის გამოკ მისი ჯვარედინი დამ-

- დედა ფუტკრის კვერცხდების
გაძლიერება ფუტკრის დამატებითი
კვებით, რისთვისაც ამზადებენ შაქ-
რის სიროვას წყლისა და შაქრის მასუ-
რი შეფარდებით 1:1 და დღეგამოშვე-
ბით ფუტკრის ოჯახებს აძლევენ 350-
400 გრ.-ის რაოდენობით;

– ფუტკრის დაგეშვის მეთოდის გა-
მოყენება წითელი სამყურას ნათე-
სებზე ფრენის გასააქტიურებლად:
შაქრის 50%-იან სიროვაში წითელი
სამყურას ყვავილების ჩამატებით სი-
როვას არომატიზება. დილით ადრე,
ფრენის დაწყებამდე, ასეთი სიროვა
მიეცემა ერთ ოჯახზე 150-200 გ-ის
რაოდენობით;

– წითელი სამყურას დამტკერვაზე
მომუშავე ფუტკრის ოჯახებს უნდა
ნაერთვას ჭერიანი ფიქტები, რომ მათ
გაუძლიერდეთ ყვავილის მტკრის
შეგროვების ინსტინქტი. გარდა ამი-
სა, ამ ნაცლებადმიმზიდველი მცენა-
რის მასივზე ფუტკრის ფრენის გა-
საძლიერებლად, ზოლებად ითესება
უფრო ძლიერი თაფლოვნები, რაც სა-
ბოლოოდ ზრდის სამყურას თესლის
მოსაპონანობას 25-30%-ით.

– საფუტკრები წითელი სამყურას
ნათესებზე უნდა განლაგდეს ჯგუ-
ფურად (50-60 ოჯახი თითოეულში)
იმ ანგარიშით, რომ მანძილი მათ შო-
რის არ აღემატებოდეს 500-600 მ-ს,
ყოველ 1 ჰა ფართობზე 4-6 ძლიერი
ოჯახის ოთანბობით.

სათესი იონჯისა და ესპარცეტის
დამტვერვისას ფუტკრის ფრენის გა-
საძლიერებლად იყენებენ ზემოაღწევ-
რილ მეოდებს. ცნობილი ჯიშები-
დან ამიერკავკასიური 2-3-ჯერ მეტ
თესლს. თითოეულ ჰა იონჯის ნათე-
სის დასამტვერად შეაქვთ 8-10 ფუტ-
კრის ძლიერი ოჯახი, ესპარცეტის ნა-
თესზე – 3-4 ოჯახი:

- ნინიბურას ნათესზე ფუტკრის გამოყენებისას თესლის მოსავალი 60-70%-ით მატულობს. მისი კვავი-ლობის დასაწყისში დგამენ ყოველ 1 ჰა ფართობზე 2 ძლიერ ოჯახს. თუ ნა-თესი ფართობი დიდია, იყენებენ შემ-ხვედრი დამტვერვის ნესებს: ფუტკ-რის ოჯახებს განალაგებენ ჯგუფუ-რად; ჯგუფებს შორის მანძილი 500-600 მ-ს შეადგენს;

ყველაზე საყურადღებოა შემდეგი
მონაცემები: მცენარის ფუტკრის-

მიერი ჯვარედინი დამტკერვისას 1 ჰა ნათესი ფართობიდან გროვდება 20-25 კგ თაფლი, თესლში მატულობს ცხიმის შემცველობა, განვითარებული თესლის მასა (20-25%) და მისი აღმოცენების უნარი მზესუმზირას ეფექტიანი დამტკერვისათვის, ყოველ ერთ აკრ ნათეს ფართობზე განთავსდება ერთი ძლიერი ოჯახი.

ବୋର୍ଡି ପାଇଁ କାହାରଙ୍କାଳୀ,
ସମ୍ମ ଦୟାକାଳୀ, ପରାମର୍ଶକାଳୀ



ଏବେଳିକ୍ସନ୍ ପାର୍ଶ୍ଵତଥିରୁ ପାର୍ଶ୍ଵତଥିରୁ

፩፻፲፭

საქართველოში ღონის კულტურის სიმაღლის შესახებ ქვეყნაში დაწყებათურ-
ება ისტორიული ცხაროვების მართალია ძუძნიად შემოგვინეა ცნობები,
მაგრამ მი-20 საუკუნის არქეოლოგიური გათხრების დაადასტურეს, რომ
ჯერ კიდევ უძველეს ეპოქაში ჩვენს ცენტრალიცვამზე ღონის კულტურა
ფართოდ იყო გავრცელებული. მაგალითად, არუსენ I-II და არუსენ II-III
(კლასისაცველ საქართველო, VI-V-3 ათასწლეული ჩვენს ერამდე) ნაპოვნია
ხორცის, ჭვრის, ძრის, ვეტვის, ღონისა და ბარის თესლები, როგორ-
თა ხეოვანება დაგრენილია ცაცილებების (C 14) მათოდით.

ღომის დანახშირებული მარცვლები სხვა ქართულ არქეოლოგიურ ძეგლებშიც იყო მიკვლეული. ქუთაისის მახლობლად ნაციხეარზე (სათაფლია) დათარიღებულია ბრინჯაოს ხანით და ბიჭვინთის ტერიტორიაზე ჩვ. წ. ა. III საუკუნით. ასევე ღომი სხვა კულტურებთან ერთად (ხორბალი, ჭვავი, ფეტვი) ნაპოვნია ზემო სვანეთის არქეოლოგიურ მასალებში, რომელიც თარიღდება I ათასწლეულით ჩვ. წ. აღმდე.

ზემოაღნიშნული მინაცემები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ღომი საქართველოს უძველესი კულტურაა.

ღომი დასავლეთ საქართველოში ერთ-ერთ მთავარ საკულტურულ ცენტრი განვითარებული გე-მოვნური თვისისებებით გამოირჩეოდა. იტალიულმა მისიონერმა არქანჯელო ლამბერტმა, რომელიც XVII საუკუნეში მოღვაწეობდა, საქართველოში და დაპყო საქართველოში და თავის ნაშრომში „სამეგრელოს აღნერა“ არ მოიხსენიებს სიმინდს, რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გავრცელებული, თუმცა ბევრს სა-

უბრობს ლობიოს შესახებ, რომელიც
ასევე ამერიკიდან გავრცელდა ევრო-
პაში. მთავარ საკვებად კი მოხსენი-
ებს ლომს და ალწერს მისი მოყვანი-
სა და დამუშავების მთელ პროცესს.
ასევე ალწერს ლომის შეჭამანდის
მომზადებას. **XVX** საუკუნის ბოლოს-
თვის სიმინდის კულტურამ მთლი-
ანად ჩანაცვლა ლომის კულტურა,
რადგან სიმინდის მოყვანას უფრო
ნაკლები შრომა სჭირდება, ვიდრე
ლომს. დღესდღეობით დასავლეთ და
არამარტო დასავლეთ საქართველო-
ში ლომს ამზადებენ არა ლომის კულ-
ტურიდან, არამედ სიმინდისაგან.


ლომი (ლათ. *Setaria italica*) – ერთ-ნელოვანი კულტურული მცენარეა, ძურნასებრთა გვარის, მარცვლოვანთა ოჯახის. აქეს სწორი, თითქმის ცილინდრული ღერო, რომლის სიმაღლე, 0,25-0,28 მ. აღნევს, აქვს ფართო ლანცეტისებრი ფოთოოლი, თავთავი-სებრი საგველა ყვავილედი, მარცვალა ნაყოფი. სიცხეს კარგად იტანს. საქართველოში გვხვდება ლომის ადრეული, საშუალო და საგვიანო ჯიშები. დასავლეთ საქართველოში მოჰყავთ „შეიდეკვირა“ და „ორმოსავალა“.



ღომი მაღალხარისხოვანი სასურ-
სათო მცენარეა. მარცვალი შეიცავს
ცილებსა და ვიტამინებს. ღომის-
გან ამზადებენ ფქვილს, მაკარონს,
სპირტს, ღუდსა და სხვ. ღომის მწვა-
ნე მასას, ბზეს, ჩენჩჩოს, კილსა და
სხვა ნარჩენს საქონლის საკვებად
იყენებენ.

ლომი ადვილად იტანს მაღალ ტემ-პერატურას და მიეკუთვნება გვალვა-გამძლე კულტურას. ლომის უმეტესი ჯიშები საგვაინოა, რომელთა ვეგე-ტაციის ხანგრძლივობა 120-დან 135 დღემდე შეადგენს. ამიტომ საჭიროა დაითესოს ისეთი ადგილობრივი ჯი-შები, რომლებიც სავაეგეტაციო პერი-ოდით მიეკუთვნებიან ადრეულ, სა-შუალო ჯიშებს.

ლომი მდიდარია კაროტინით და უჯრედისით, B ჯგუფის ვიტამინებით (განსაკუთრებით B1,B2.), ასევე კალციუმით, კალიუმით, გოგირდით



და ფოსფორით. ღომის ბურღული და ფქვილი გამოირჩევა ცილების, ცხი-მების და ნახშირნყლების მაღალი შემცველობით, აქვს მაღალი ენერ-გეტიკული ღირებულება და ამ მონაცემებით პირველი ადგილი უჭირავს სხვა საბურღულე კულტურებს შორის. ღომის ფაფის თბური დამუშავების შემდეგ მასში არსებული ცილები კარგად შეითვისება. ნახშირნყლების მაღალი შემცველობის გამო ღომი-საგან დამზადებული კერძი მთელი დღის განმავლობაში წარმოადგენს ენერგიის ძვირფას წყაროს.

ღომისაგან დამზადებული კერძი
ცნობილია ორგანიზმიდან ტოქსინე-
ბისა და მძიმე მეტალების გამოდევ-
ნით, ამიტომ მისგან დამზადებული

საკუები განსაკუთრებით რეკომენ-
დირებულია ისეთი დიდი ქალაქების
მცხოვრებთათვის, სადაც მძიმე ეკო-
ლოგიური პირობებია. უჯრედისის
მაღალი შემცველობის გამო ხელს
უწყობს კუჭ-ნაწლავების ნორმალურ
მოქმედებას, ასევე ამაგრებს გულის
კუნთებს, ამცირებს ათეროსკლერო-
ზის რისკს, არეგულირებს არტერი-
ულ წნევას.

დასავლეთ საქართველოში ღო-
მის ფქვილისაგან ეროვნულ საკვებს
ღომს, განსაკუთრებით საკალანდოდ
ამზადებდნენ.

ლომის გამოყენება შეიძლება არა-
მარტო სასურსათოდ, არამედ ცხო-
ველთა და ფრინველთა საკვებად.
რადგანაც ლომის 100 კგ მწვანე მასა

შეიცავს 67,5 საკუებ ერთეულს და 3,4 კგ მონელებად პროტეინს, 100 კგ თივა შესაბამისად შეიცავს 55,1 და 3,4, 100 კგ სილოსი – 63,4 და 3,0, ხოლო 100 კგ მარცვალი – 99 და 8,5. 1 კგ მარცვალი შეიცავს 1,1 გ კალცის, 2,4 გ ფოსფორის და 1 მგ კარნიტინს. მწვანე მასა შესაბამისად კი 1,3; 1,0 და 15. ღომის მწვანე მასით მსხვილფეხა პიროტყვი არცთუ კარგად იკვებება, მაგრამ თივას და სილოსს კარგად ითვისებს. ასევე მარცვალს დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლ-სამეურნეო ფრინველთა კვებაში, რადგან მისი რეგულარული კვების რაციონში გამოყენებით ქათმები ადრეულ ასაკში იწყებენ კვერცხის დებას, უმატებენ კვერცხის დებას, იზრობისა წინიობისა დამოწიუა

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან
გამომდინარე საჭიროა ღომის კულ-
ტურას მიეკუთხეს ყურადღება. მოძიე-
ბული იქნას ადგილობრივი უნიკალუ-
რი ჯიშები, დამუშავდეს მისი ბიომი-
მართულებით მოვლა-მოყვანა, რა-
თა გავრცელდეს და მიეცეს ფართო
გამოყენება როგორც სასურსათოდ,
ასევე საკვებად.

କୁଳାଳ ପରିବାରଙ୍ଗାନ୍ତରେ
ଶ୍ରୀମଦ୍ ବ୍ରହ୍ମପୂଜାରୀଙ୍କ
ଶାରୀରିକ ଅନୁଭବରେ

ବିଜ୍ଞାନ ଶାଖା ପାଠ୍ୟରେ କମିଶନ ପାଠ୍ୟରେ କମିଶନ

ԵՅԿԱՌՈՎՔԻ ԱՆԴՐԱՎՐԱՄ ԱՌԱՋԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ვეკალიგას მრავალფეროვან მფენარულ საზარში სუბტონიკული ზონის დამახსინებელი სილამაზის ფორმირებაში ერთ-ერთი ცამყვანი აღმინიჭი უზირავს. მისი მუდმივად მცვანი ვარცხლის სრულ მოძილვივა ფოთლები ცალ აწყორცობილ ლაგაზ თანხე და ლაღად გამლილი, ნათელი ტოტები ქმნის განსაკუთრებულ ეფექტს.

ჩენი დიდებული ბუნების სიმშვენიერე-ევკალიპტს გარდა დეკორაციული მნიშვნელობისა, გააჩნია სხვა გამოყენების სფეროც. მერქანი გამოიყენება: მშენებლობაში, ავეჯის დასამზადებლად, რკინიგზის ვაგონებისათვის, გამძლეა ლპობის და მერქნის მარაგბლების მიმართ.

ევეკალიპტის თითქმის ყველა ნაწილი შეიცავს ეთეროვან ზეთს, მაგრამ პრატიკული მნიშვნელობა ამ მიზნით აქვს ფოთოლს, რომელსაც იყენებენ: მედიცინაში, პარფუმერიაში, საპარფუმო ნარმობაში.

ეპკალიპტიის გამსმარი ფოთლები-

საგან ამზადებენ ნაყენს, რომელიც
გამოიყენება ასომის, ბრონქიტის, სა-
სუნთქი თრგანოების, ანთებითი პრო-
ცესის და ჰიპერტონიით დაავადების
ოროს.

ასევე ევკალიტის ეთეროვან ზეთს
იყენებენ ქრონიკული ლარინგიტის,
თვალის, კანის, ფილტვების დაავა-
დებისას, მუცლის ტიფის სამკურნა-
ლოდ.

ევკალიპტის ეთეროგანი ზეთის
ბაქტერიოფიდული თვისებების გა-
მოკვლევამ დაადასტურა მისი უდი-
დესი ფიტოფიდური თვისება, რო-
მელიც ორთქლის ემულსიის სახით



სპობს ვირუსული გრიპის და ტუბერკულოზის გამომწვევ ბაცილებს.

ევკალიპტიდან გამოყოფილი ეთეროვანი ზეთი ჰაერზე დაუანგვით ზედმინევნით ასუფთავებს მთელ მიდამოს, ამიტომაა, რომ მის შეფოთლილ ტოტებს ხშირად იყენებენ დეზინფექციისათვის.

ევკალიპტის ფოთლის ნახარშს იყენებენ ვეტერინარიაში, ანთების, ჩირქოვანი კონიუქტიკის, ინფექციური ჭრილობების, ბრუცელოზის და სხვა დაავადებათა ნინააღმდეგ სამკურნალოდ.

ევკალიპტი საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში ფართოდა გამოყენებული ტყის მასივების შესაქმნელად, ფერდობის დასაცავად და სხვა მელიორაციულ ღონისძიებათა დანიშნულების თვალსაზრისით.

ევკალიპტი უხვად მოყვავილე, მაღალფენტიანი თაფლოვანი მცენარეა. ყვავილობს წლის სხვადასხვა დროს.

ევკალიპტისთვის დამახასიათებელია ტრანსპირაციის მაღალი კოეფიციენტი ე.ი მშრალი ნივთიერების შესაქმნელად წყლის დიდ რაოდენობას ხარჯავს, ამავე დროს მისი ფოთლების მზის სხივების მიმართ ირიბად განწყობის გამო, ნიადაგის ზედაპირამდე ადვილად აღწევს მზის სხივები, რაც ევკალიპტის ქვეშ წყლის ინტენსიური აორთქლების პირობებს ქმნის, ამიტომ მის ნარგავებს ჭარბტენიანი ნაკვეთის დაშრობის დაჩქარების უნარი აქვს.

ევკალიპტი შეიძლება გამოვიყენოთ, ძირითადი დაშრობით ღონისძიების ჩატარების შემდეგ, ნაკვეთის ათვისება – გაკულტურებისა და კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ინგლისელები ავსტრალიაში მას „ტყების ალამს“ ან „ცოცხალ აფთიაქს“ ან „საკვირველ ხეს“ უწოდებენ.

ევკალიპტის სამშობლო ავსტრალია, ტასმანია და მალაის არქიპელაგი კუნძულებია, რომლებიც ავსტრალიას ემიგრება.

საქართველოში ევკალიპტის კულტურის სხვადასხვა ფორმები: სფერული ევკალიპტი, ტირიფისებრი, ნუშისებრი ევკალიპტი 1863 წელს თბილისის ბოტანიკურ ბაღში შემოიტანეს.

ევკალიპტების ინტროდუქციისა და შესწავლის საქმეში დიდი მუშაობა გასწია სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა. ბათუმის ბოტანიკურ ბაღში 1912-1914 წლებში შემოიტანეს ევკალიპტების თესლის კოლექცია.

ბოტანიკური დახმასიათება

სახელოდება ევკალიპტი ბერძნული წარმომავლობისაა, ის პირველად 1778 წელს სნავლულმა ჰერიტეგ შემოილო და ორი სიტყვისგან „ჩუ“ კარგად და „ჩალიპიშ“ – ფარავს ე.ი ნიშნავს კარგად დაფარულს.

ევკალიპტი ეკუთვნის ტყვიისებრთა ოჯახს – ევკალიპტის გვარს, ევკალიპტების გვარში ითვლიან 100 სახეობას. გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონაში.

ევკალიპტები ძლიერი ზრდის მუდამ მწვანე მცენარეა, სიმაღლე 25 მეტრამდეა. ევკალიპტები ყალიბდება გარემოს მაღალი ტემპერატურის



და მზის სხივების პირდაპირი განათების პირობებში, ამიტომ, როგორც ამ ზემოქმედების მიმართ მცენარის რეაქცია, მათვის დამახასიათებელია ტანის ნითელი შეფერილობა, ფოთლების სისქე.

დაბალი ტემპერატურის მიმართ ევკალიპტების სხვადასხვა ფორმა და სახეობა განსხვავებულ მგრძნებელობა იჩენს. ლიმონის ევკალიპტი -40°C პირობებში იღუპება. გიგანტური, ფერფლისფერი ევკალიპტები დაუზიანებლად უძლებს -11 -12°C ტემპერატურას.

აგროტექნიკა

ევკალიპტის თესლით გამრავლება საუკეთესო მეთოდა. თესლი გროვდება ზამთარში და ადრე გაზაფხულზე. მომწიფებული ნაყოფი მურა ფერისაა, საჭიროა გავაშროთ, შევინახოთ მინის ქილაში. ევკალიპტის თესვის საუკეთესო დროა აგვისტოს ბოლო, სექტემბრის დასაწყისი. ოთახის პირობებში შეგვიძლია სექტემბერ-ოქტომბერში დავთესოთ. გაზაფხულზე საკმაოდ ღონისძიები ნერგები და შეგვიძლია გადავრგოთ შესაბამის ადგილზე.

ნიადაგის მოსამზდებლად საჭირო სილის ფენის შერევა არ არის. თესლი 12-15°C ტემპერატურის დროს ორი კვირის შემდეგ, ზოგჯერ 34-54 დღის შემდეგ, იწყებს აღმოცენებას.

ევკალიპტის გამრავლება ასევე შესაძლებელია ამონაყარი კულტურის სახით, გაცილებით უფრო ჩრდილოეთ რაიონებში.

დასკვნა

1. სიცოცხლის ხეა, ცოცხალი აფთიაქი, საკვირველი ხე, ტყების ალამი. შემთხვევითი როდია ასეთი დახასიათება, რადგან ძალიან ფართოა მისი გამოყენების ნომენკლატურა



სახალხო-სამეცნიერო დარგში, მედიცინაში, პარფიუმერიაში.

2. ევკალიპტის ფიტოციდური თვისება, რომელიც ორთქლის ემულსიის სახით სპობს ვირუსულ გრიპს და ტუბერკულოზის გამომწვევ ბაცილებს. გამოყოფილი ზეთი ჰაერზე დაუანგვით ასუფთავებს მიდამოს.

3. ანასეულის კვლევითი ინსტიტუტი უსასყიდლოდ გადასცემს ევკალიპტის ნერგებს სკოლებს, ასევე მიეცემათ რეკომენდაცია მათი მოვლა-მოყვანის შესახებ.

4. ჩვენი მიზანია ბავშვებს ვასნავლოთ, ჩვენი დიდებული ბუნების სიმშვინიერე და ეს ევკალიპტით დავიწყოთ, რადგან გარდა წმინდა დეკორაციული მნიშვნელობისა დიდია მისი გამოყენების სფერო.

მიმართ ჩინაში,
ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი;

ნან ჩოშინია,
სოფელ მთისპირის საჯარო სკოლის ნამუგანი პედაგოგი, ბიოლოგი



საქმე ის არის, რომ იგი შეიცავს ყველა აუცილებელ ვიტამინს და მიკროელემენტს 2 სახის შაქრიანი დიაბეტის, გულის დაავადებების, ათეროსკელეროზის სამკურნალოდ. მაკადემია რეკომენდებულია გამხდრობის დროს მაღალკალორიული დიეტის დროს.

● მაკადემია – თხილებს შორის ყველაზე კალორიულია, 100 გრ. – 700 კალორია.

● მაკადემია – ყველაზე მაგარნაჭუჭიანი თხილია არსებულ თხილებს შორის.

● მაკადემია – ყველაზე ძვირი თხილი მსოფლიოში, იგი ძნელად გასაშენებელი და რთულად მოსაკრეფია.

მაკადემია - ყველაზე მაგარი თხილი...

მაკადემია – (ინგლ: MACADAMIA) კალორიული თხილი, ცარხოშობით ავსტრალიიდანაა, პარორობისთვის სასარგებლო თხილია და ძვირადაც ფასობს, თუმცა, როგორც ამბობან, თხილი აგად ღირს.

ადამიანს დღეში მხოლოდ 100 კილოგრამამდე თხილის შეგროვება შეუძლია.

- მაკადემიას ეტანება მავნებლები და დაავადებები, ხოლო მცენარენაყოფის მოცემას დარგვიდან 8-10 წლის შემდეგ იძლევა.

- მსოფლიოში მოწეული მაკადემიის 60% პროცენტი ამერიკის შტატ ჰავაიზე მოჰყავთ.

- მაკადემია – ავსტრალიელი აბორიგენებისთვის წმინდა თხილია. მე-19 საუკუნეში ის მეორე საგადასახადო ვალუტა იყო და დღემდე ფასობს ავსტრალიელ აბორიგენთა შორის.

მაკადემია მხოლოდ ცხელ ქვეყნებში იზრდება, სადაც ტემპერატურა + 3 გრადუსზე დაბლა არ ეცემა.

თხილის დასახელება გერმანული წამოშობის ავსტრალიელმა ბოტანიკოსებმა ფერდინანდ ფონ მიულერმა შეურჩია და მეგობრის, ჯონ მაკადე-

მას პატივსაცემად თხილს მისი სახელი დაარქვა.

მაკადემიის გაშენება რთულია, რადგან +3°C დაბალ ტემპერატურაზე მცენარეს პრობლემა ექმნება, აღარაფერს ვამბობთ ნულზე დაბალ ტემპერატურაზე.

საქართველოში მაკადემიის გაშენება რთულია.

მაკადემია მოჰყავთ ბრაზილიაში, პაგას კუნძულებზე, სამხრეთ კალიფორნიაში და აფრიკაში.



სასარგებლო რჩევა

წათხი - ასეთი მათოდით მოგზადებულ წათხი ყველი კარგად მოიცვა და თითქმის ერთ წლის შემდეგ იცავება

ყველის სათანაბოდ შენება იოლი საჭავ არ არის, რადგან შენების პირობებზე არა დამოკიდებული, როგორი გიმო და სასამარტინო თვისებები მცველია მას.

ყიდვისას ყველი შეიძლება ძალიან გემრიელი მოგეჩვენოთ, მაგრამ 1-2 კვირის შემდეგ მან სულ სხვა, უსიამოვნო გემო შეიძინოს, ამიტომ ყველმა ხარისხი რომ არ დაკარგოს, შენაგვის გარემოსა და პირობებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

გთავაზობთ ყველის შესანახი წათხის ერთ-ერთ რეცეპტს, რომელიც ერთ-ერთმა მკითხველმა მოგვწერა:

4 ლიტრ ანადუღარ ცივ ნყალში გახსნით 1 კგ მარილი;

დაამატეთ ერთი ჭიქა – 200 გრამი შაქარი, შაქარი შეიძლება ჩაანაცვლოთ თაფლით;

ტივტივდება, ესეიგი თქვენს მიერ მომზადებულ წათხს მარილი

ზომიერად აქვს, წათხი ოთახის ტემპერატურამდე გააგრილეთ და უკვე შეგიძლიათ მომზადებულ სანარში, წათხში ყველი ჩააწყოთ, ისე რომ ყველი დაიფაროს.

ესეთი მეთოდით მომზადებულ წათხში ყველი კარგად მოიცვა და ყველა საგემოვნო თვისებას ინარჩუნებს.

პატარა წატეხი თეთრი შაბი.

წაზავს საგულდაგულოდ მოურიეთ, რომ მარილი, შაქარი/თაფლი და შაბი წყალში სრულად გაისნას!

რომ დავრწმუნდეთ გაჯერებულია თუ არა წყალი მარილით, მარილი წყალში ჩააგდეთ კვერცხი – თუ ამო-



ბრინჯი - მოკლე ისტორია, სახორცები და მოკლე-მოქვანის წესები

ათასობის მანძილზე ადამიანს მოჰყავს ბრინჯი და სრულიად სამართლიანად ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გარცვლოვან პულტურად ითვლება. ბრინჯის ისტორია შორეული ცარსულიდან იწყება.

არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ 5000 წლის წინ მას საკვებად მოიხმარდნენ. ამას ადასტურებს აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი ბრინჯის ნარჩენებით, ბრინჯის მინდვრების უძველესი სარწყავი სისტემები უძველესი ჩინური და ინდური ხელნაწერები, სადაც ბრინჯი რელიგიური რიტუალების შემადგენელი ნაწილია.

ბრინჯის სამშობლოდ აზია ითვლება: დაახლოებით 4000 წლის წინ თანამედროვე ტაილანდისა და ვიეტნამის ტერიტორიაზე ადამიანმა პირველად დაიწყო ბრინჯის მოყვანა.

ჩინეთში, იაპონიაში, ინდონეზიასა და ინდოეთში ბრინჯი უფრო მეტია, ვიდრე უძრალოდ საკვები პროდუქტი. აქ იგი კულტურისა და ცივილიზაციის ნაწილია. ამ ღვთისგან ბოძებულ განძს აზიელები ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნევენ. ბრინჯი დანარჩენ მსოფლიოში ჩვ. წ. აღ-მდე 350 წელს ალექსანდრე მაკედონელის დამსახურებით გავრცელდა, როდესაც მან ინდოეთი დაიპყრო.

ხმელთაშუაზღვისპირეთში ბრინჯის განსაკუთრებული პოპულარობა არაბული კულტურის გავლენამ განსაზღვრა, თუმცა ეს მცენარე აქ ჯერ კიდევ 630 წელს მოიხმარდნენ. ბრინჯი იმ პროდუქტთა რიცხვს მიეკუთვნებოდნა, რომლითაც ალექსანდრის სანელებელთა ბაზარზე ვაჭრობდნენ, თუმცა იგი გაცილებით იაფი იყო სხვა დანარჩენზე.

1300 წელს პირველად იქნა მოხსენიებული სავოიის ჰერცოგის მიერ. XVI საუკუნისთვის მილანი უკვე გარემოცულია ბრინჯის მინდვრებით. ამავე პერიოდიდან მოყოლებული ეს მარცვლეული კულტურა ფართო გავრცელებას პოვებს მთელს ლომბარდიაში, პიემონტშა და ვენეციაში.

დღეს იტალია ევროპაში ბრინჯის ერთ-ერთ მთავარ იმპორტიორად ითვლება. ფილიპინებზე აღრიცხულია ბრინჯის დაახლოებით 10 000

სახეობა, რომელთა შორის 5 000-ზე მეტი გამოიყენება, მაშინ, როცა იტალიაში მხოლოდ 50 სახეობაა გავრცელებული.

ევროპაში დიდი ხნის განმავლობაში ბრინჯი შორეული ქვეყნებიდან შემოტანილ ეგზოტიკად ითვლებოდა, რომლისგანაც სადღესასწაულო ნუგარს ამზადებდნენ. ბრინჯმა საოცარი პოპულარობა მოიპოვა. მისგან მომზადებული კერძები ტრადიციულად იქცა ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებშიც. აზიის ზოგ ქვეყანაში ბრინჯი ისეა კულტურასთან შერწყმული, რომ სასაუბრო ენაზეც დააჩნია თავისი კვალი.

ზოგიერთ ენაზე „გაამოთ!“ უდერს, როგორც „მიირთვით ბრინჯი!“ როგორც ცნობილია, ბრინჯი საქართველოში ირანიდან გავრცელდა და წარმატებით მოჰყავდათ კიდეც ივრისა და ალაზნის ნაპირებზე, აჭარაში, სამეგრელოსა და გურიაში.

XVII საუკუნეში მოღვაწე იტალიელი მისიონერი, არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც თავისი ცხოვრების გარკვეული ნაწილი სამეგრელოში დაჰყო, ნერდა: „ოდიშის მრავალ ნაწილებში, სადაც წყალი დგას და არ შეიძლება ლომის დათესვა, სთესავენ ბრინჯს, რომელიც ისე ბლომად მოდის, რომ არამც თუ აქაურებს ყოფნის, არამედ მიაქვთ თურქეთის გემებს, რომელიც აქ მოდიან.“ როგორც ჩანს, საქართველოში საკმაოდ დიდი რაოდენობით ბრინჯი მოდიოდა. დღესდღეობით საქართველოში არსად მოჰყავთ ეს მარცვლოვანი კულტურა.

განასხვავებენ ბრინჯის სამ ძირითად ტიპს – გრძელს, საშუალოსა და მრგვალს. ქართულ სამზარეულოში გრძელი ბრინჯი ფანტია ფლავის მოსამზადებლად გამოიყენება, მრგვალს კი შილაფლავისთვის იყენებენ. გრძელი ბრინჯი ხარშვისას ფორმას კარგად ინარჩუნებს, ხოლო მრგვალი – მალე იშლება. სწორედ



ამიტომ, შილაფლავში სხვა ტიპის ბრინჯის გამოიყენება რეკომენდებული არ არის.

სპარსული გავლენით საქართველოში მრავალი სახის ფლავს ამზადებდნენ. ფრანგ მოგზაურს, უან შარდენს აქვს ჩამოთვლილი, რომელთა შემადგენლობაშიც შედის ზაფრანითა და დარიჩინით, ბრინჯეულის წვენის დამატებით და თეთრი, ნატურალური გემოს ფლავები. ბარბარე ჯორჯაძე ბრინჯისგან მომზადებულ რამდენიმე კერძს აღწერს. ფლავი მუთაჯისა, რომელსაც მეორენაირად შერწყულ ფლავს უწოდებს, ფლავი ბატყან, ვარიახობრჩატანებული, ცხვრის შილა-ფლავი, ფლავი ყაურმით, ფლავი ალუბლით და სხვა.

ბრინჯი უამრავ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს. მის შემადგენლობაში შედის ცილები, ნაშირნებული, კალიუმი, კალციუმი, მაგნიუმი და ფოსფორი. ადვილად ეთვისება სხვადასხვა პროდუქტს. განსაკუთრებულად სასარგებლო ველური ბრინჯია.

მრავალ სახეობათა შორის გამოარჩევენ რამდენიმე, ყველაზე პოპულარულ სახეობას:

ბასმატი – მოგრძო მარცვლებიანი ბრინჯი, რომელიც ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონებში მოჰყავთ, ხარშვისას ფორმას კარგად ინარჩუნებს. დაკრავს ნიგვზის არომატი. გამოიყენება გარნირების და სხვადასხვა კერძის მოსამზადებლად, განსაკუთრებით ინდურ სამზარეულოში.

ჟასმინი – აგრეთვე მოგრძო მარცვლებიანი ბრინჯია. ხარშვისას ფორ-

მას ინარჩუნებს, თუმცა ოდნავ წებოვანია. გამორჩეულია იმით, რომ მოხარშული ქათქათა თეთრ ფერს იძენს. გამოიყენება გარნირების, ფაფებისა და დესერტების მოსამზადებლად. ბრინჯის ამ სახეობას სხვანაირად ტაილანდურ არომატულ ბრინჯს უწოდებენ.

დევზირა – მონითალო ფერის, ფართემარცვლიანი ბრინჯია, სხვა სახეობებთან შედარებით მძიმე მარცვალი აქვს. დევზირით მზადდება ცნობილი უზბეკური ფლავი.

არბორიო – ბრინჯის იტალიური სახეობაა, რომლესაც ფართე, მომრგვალებული ფორმის მარცვლები აქვს. ბრინჯის ეს სახეობა ძალიან მაღისარშება. ამ სახეობის ბრინჯის მარცვლები სხვასთან შედარებით 5-ჯერ მეტ წყალს იწოვს. რიზოტოს მოსამზადებლად არბორიო გამოიყენება. კარგად ფუვდება და დიდი რაოდენობით სახამბელს გამოყოფს, რაც ზემოხსენებულ კერძს საჭირო კონსისტენციას სძენს. რიზოტოსთვის ასევე გამოიყენება სხვა სახეობის ბრინჯის მარცვლებიც – ვიალონესა და კარნაროლი.

კამოლინო – ბრინჯის ეგვიპტური სახეობაა. დამუშავების დროს ბრინჯის მარცვლებს ემატება პალმის ზეთი, რაც მარგალიტის შეფერილობას სძენს და სასარგებლო ნივთიერებით ამდიდრებს. ხარშვისას კამოლინოს მარცვლები ფუვდება, მაგრამ ფორმას ინარჩუნებს. არის ოდნავ წებოვანი.

გაღენსია – წვრილმარცვლიანი ბრინჯი, რომელიც ვიზულაურად არბორიოს წააგავს, განკუთვნილია ესპანური ტრადიციული კერძის, პაეიას

მოსამზადებლად. ამ კერძის უამრავი სახესხვაობა არსებობს. ტრადიციულად ზოვის პროდუქტებით მზადდება.

შავი ბრინჯი – განასხვავებენ ამ ბრინჯის ორ სახეობას, ტაილანდურ-სა და ნაკინის. ტაილანდური ბრინჯი შავი ბრინჯის პუდინგის მოსამზადებლად გამოიყენება, რომელსაც ქოქოსის რძეს უმატებენ. ნაკინი ჩინური ნარმოშობის სახეობაა, იდეალურია სალათებისა და ნებისმიერი აზიური კერძისათვის.

ნითელი ბრინჯი – ეს სახეობა საფრანგეთის სამხრეთ რაიონში, კამარკიში მოჰყავთ. მას გამოხატული ნიგვზის არომატი აქვს, კარგად მიღის სალათებში.

ველური ბრინჯი – ეს სახეობა ევროპაში ფრანგმა ვაჭრებმა XVIII საუკუნეში ჩაიტანეს. სინამდვილეში, ეს მცენარე სრულებით არ არის ბრინჯი, არამედ წყლის ბალაზოვანი მცენარე, რომელსაც ოდესალაც ხელით კრეფდენენ და ძალიან ძვირად ფასობდა. მას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. ხშირად იყიდება თეთრ ბრინჯთან ერთად არეული, გამოიყენება სალათებში, გარნირად.

ბოტანიკურ-მოლიგიური დანასიათება

ბრინჯი Oriza sativa L ეკუთვნის მარცვლოვანთა ოჯახს, მისი ფესვთა სისტემა ფუნჯანაირია.

დერო – ბრინჯისა სწორმდგომია, სიმაღლით 80-120 სმ, შედგება 7-8 მუხლთაშორისისაგან, ზედა მუხლთაშორისები უფრო გრძელია და ღრუა, ქვედა მუხლთაშორისები კი

ამოვსებულია რბილი ქსოვილით. ბრინჯის დეროს აქვს დატოტვის უნარი. დამატებითი დეროები გამოდიან მინის ზედაპირზე მოთავსებული მუხლებიდან. დატოტვის უნარი დამოკიდებულია ჯიშზე.

სავეგეტაციო პერიოდი აღწევს 100-140 დღეს. ფოთოლი – ლანცეტურია, სიგრძით 10-30 სმ-მდე. განვითარებული აქვს როგორც ენაკი, ისე კავები.

ყვავილედი – საგველაა, სიგრძით 10-30 სმ-მდე, უხვად განვითარებული დანატოტებით, რომელზედაც მოთავსებულია თავთუნები. თავთუნუნი – ერთყვავილიანია, ყვავილს აქვს ორი კილი, ქვედა და ზედა. გვხვდება ბრინჯის უფხო და ნახევრად ფხინი ფორმებიც. ზოგიერთ ქვეყნებში უპირატესობას ანიჭებენ ფხინი ფორმებს, რადგან ფხინი ბრინჯის არ ეკარება არა თუ მწერი ან ფრინველი, არამედ თაგვიც კი, რომელიც ზოგჯერ ანადგურებს მთლიანად უფხო ფორმებს.

ბრინჯის მარცვალი – კილიანია მას გარედან მჭიდროდ აქვს შემოკრული როგორც ყვავილის, ისე თავთუნის კილები, რომელიც გალენების დროს თან მოსდევს მარცვალს. მარცვლის ენდოსპერმი ძირითადად ფქვილისებური აგებულებისაა, მდიდარია სახამებლით. მარცვლის ზომის მიხედვით კულტურული ბრინჯი იყოფა ორ ქევსახეობად:

1. ჩვეულებრივი ბრინჯი, რომლის მარცვლის სიგრძეა 5-7 მმ.

2. მოკლე მარცვლიანი ბრინჯი – 4 მმ. რუსთში და სხვა ქვეყნებში გავრცელებულია ჩვეულებრივი ბრინჯი. ბრინჯის მნარმოებელ უძველეს ქვეყნებში: ინდოეთში, ფილიპინებში კი ძირითადად მოჰყავთ მოკლე მარცვლიანი ბრინჯი.

ბრინჯი ერთნლიანი ტროპიკული მცენარეა. მისი თესლი გაღივებას იწყებს 11-12 სითბოს პირობებში, მაგრამ მცენარის ნორმალური აღმოცენებისათვის საჭიროა 14-15 ჩსითბო. ბრინჯის ზრდა-განვითარებისათვის საუკეთესო პირობებია 25-30 სითბო.

ბრინჯი სრულებით ვერ იტანს ყინვას, 0,5 წაყინვების დროს ძლიერ ზიანდება, ხოლო 10°C ყინვაზე მთელი მცენარე იღუპება. ტენისადმი ბრინჯის მოთხოვნილება დიდია. მისი ტრანსპირაციის კოეფიციენტი აღწევს 500-800-ს.



ამიტომ ბრინჯი მოჰყავთ მუდმივი რწყვის პირობებში ან ისეთ რაიონებში, სადაც ნალექები ზაფხულის პერიოდში უხვად მოდის.

სინათლის მიმართ ბრინჯის მოთხოვნილება დიდია. იგი წარმატებით მოჰყავთ სხვადასხვანაირ წაკვეთებზე. ის მოითხოვს ისეთ წაკვეთებს, რომელიც ადვილად აკავებს წყალს. კარგ მოსავალს იძლევა აგრეთვე ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებზე, მდინარის სანაპიროებზე და მძიმე თიხა ნიადაგებზე.

რეაგირების დამუშავება

ბრინჯი საჭიროებს სარეველებისაგან სუფთა მინდორს და მოითხოვს ნიადაგის ღრმად დამუშავებას. ძირითადი ხენა წარმოებს შემოდგომაზე, 23-25 სმ სიღრმეზე. გაზაფხულზე მოხნული წაკვეთი კულტივატორით 15-18 სმ სიღრმეზე ორჯერ ფხვიერდება.

თესვა

ბრინჯის წარმოების ძირითად ქვეყნებში ფართოდ არის მიღებული ბრინჯის დარგვა ჩითილით, რომელიც



წინასწარ გამოჰყავთ სპეციალურად მომზადებულ სანერგებში. ირგვება 12-15 სმ სიგრძის მიწის კოშტებიანად. ჩითილით დარგული ბრინჯი უფრო მოსავლიანია, მაგრამ ეს ბევრ მუშახელს მოითხოვს. ამიერკავკასიაში მხოლოდ აზერბაიჯანში მისდევენ ამ ნესით ბრინჯის მოყვანას, სხვა ქვეყნებში კი თესლით თესავენ.

ბრინჯის თესლი უნდა იყოს სუფთა სარეველებისაგნ და სხვა მცენარეთა თესლის მინარევებისაგან. ბრინჯის წაადრევად, ცივ ნიადაგში თესვა დაუშვებელია.

ბრინჯის თესვა იწყება მაშინ, როცა სარწყავი წყალი გათება 12-15-მდე.

თესვისათვის კარგი პერიოდია მაისის დასაწყისი.

მოსავალის აღება

მოსავალის აღების დროს ბრინჯის მარცვალი ზედმეტ ტენს შეიცავს. ტენიანი მარცვალი კი ადვილად განიცდის ჩახურებას და კარგავს აღმოცენების უნარს, უარესდება მარცვლის ხარისხი. ამიტომ მოსავლის აღებისთანავე მარცვალი კარგად უნდა გაშრეს, ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 14%-ს, შესანახად ჩაყრილი ბრინჯის თესლი არ უნდა დაიყაროს 1,5 მ-ზე უფრო სქლად.

ვაჟირინარის გვარი



კითხვა-პასუხი

რეპრენდას შპლვება „აგროექსპორტია ასოციაცია“
Agroface.ge info@agro.ge

გარე კითხვა რემიტინერთან?

მოვარეობა ან დარჩევა, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge
ასუსტ მიმღებთ შურალ „ახალ აგრარულ საქართველოს“ საშუალებით.

1. ცხვარს გენეტიკურად აღაგ-აღაგ, რას მირჩვთ?

- მოგესალმებით, შეუმონმეთ თქვენს ცხვარს, პარაზიტები ხომ არ ჰყავს. საჭირო იქნება მისი დამუშავება როგორც გარე, ისე შიდა პარაზიტებზე. ამასთან საკვები უნდა გაუმდიდროთ კალციუმით, მაგალითად, დაფქულ მარცვლეულში შეურიოთ: განასუპერვიტი, კალფოსტონიკი, დო ან მონოფოსფატი. ასევე მინერალიზებული სალოკი მარილები, მაგ; კალფომბლოკი.

2. როგორ გავიგო გოგონი გაპატ არის თუ არა?

- აუცილებელია საკონტროლო შეწყვილებისა და შემოწმების ჩატარება.. საკონტროლო შემოწმება ზოგჯერ

არ იძლევა სასურველ და ზუსტ შედეგს. ზოგჯერ განაყოფიერებული დედალი დასაგრილებლად კვლავ უშვებს მამალს. დაგრილებიდან მე 13-15 დღის შემდეგ ჩანასახის ზომა დაახლოებით თხილის ზომისაა. ემბრიონი შეინიშნება მუცლის შუა ხაზის გასწვრივ პალპაციით. ჩანასახები განლაგებულია ერთმანეთის მიყოლებით. აქვთ ოვალური ფორმა, რბილი და ელასტიკურია. საჭიროა ვიცოდეთ, რომ ფერალური მასები, რომლებიც გამოუცდელობით შეიძლება შეგვემალოს ჩანასახი, უფრო მცირე ზომის, მრგვალი და მკვრივია. უხეშმა მოსინჯვამ შეიძლება გამოიწვიოს ბოცვრის მუცლის მოშლა (აბორტი), ამიტომ მაკეობის დადგენის დროს მომვლელმა სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

3. ჩარჩოლად შეიძლება დავაღინო ძროხას პრუცელოზი აქვს თუ არა?

- ბრუცელოზის გარეგნული ნიშნებით დადგენა არ ხდება, დაავადება შეიძლება ყველაზე ჯანსაღი გარეგნობის ძროხას აღმოაჩნდეს. ბრუცელოზის ნიშნებად ნაადრევი აბორტები და ნაყოფში ჩლიქების და ბეწვის არარსებობა მივიჩნიოთ საეჭვოდ. ზუსტი დიაგნოზირება ხდება სისტოს ანალიზის ჩატარებით.

4. ინდაურიგი როგორ გავასუქო, კვეგის როგორი რეზიტი უდია დავიცვა, რით ვავეგო რომ საახალფლოდ კარგ გასაყიდ ფორმაში იყვნენ

- აუცილებელია მათი დროული დამუშავებები პარაზიტებზე(ენდო და ეგზო). საკვების მხრივ ცილებითა და ვიტამინებით მდიდარი საკვები უნდა შევურჩიოთ.

აუცილებელია მწვანე მასა და მარცვლეულის ნაფქვავში საკვებდანამატების შერევა. კომპანია „როქს“ ამ დანიშნულებით გაყიდვაში აქვს „ჩემი ჭუკები ინდაურისა“, განასუპერვიტი, განამინოვიტი, კალფოსტონიკი, უნიდასი, რუმიფოსი. უფრო დეტალური კონსულტაციისთვის გვეწვიეთ ქ.დედოფლის №77-ში.

5. ფისოს კანზე, ხერხემლის გასწვრივ, კუდის ჰოლოგები და მუცელზე აქვს გამონაბარი, ცვრილი მუცუ-კები, რით შეიძლება ვუმკურნალო?

- ინფექციის არსებობისას სასურველია ანტიბიოტიკის ტაბლეტის (სულტრიმი 480) ან ინექციის სახით გაკეთება (პენქესი, ამოქსიცილინი 75%ლა, ტილოზინა 200). აუცილებელია აგრეთვე მათი გარეგნული დამუშავება: იოდზეფით მოწმენდა, და მაღამოს წასმა(დინდგელი, პიხტი) ან მისხურება (ახალი კანი)



კითხვა-პასუხი

რუბრიკას უძლვება „აგროცომასართვა ასოციაცია“
Agroface.ge info@agro.ge

ჩარჩო კითხვა კიროცომითან?

მოგვიხილა ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge
ახალ მიმდინარე გარეგნული სამუშაო სამუშაოს” საშუალებით.

1. ფიტი და ხავი როგორ მოვაცილოთ ხეხილს, არსებობს რამე უფერების საშუალება?

- მექანიკური ბრძოლის ლონისძიებები, რომელსაც ფერმერი ხშირად მიმართავს (მხოლოდ აცლის მას მერქნიდან) მეტად უშედეგოა. რადგან მისი მოგლევისას (მიოცილებისას) ტოტზე რჩება ფესვები და რაც კვლავ გავრცელების კერაა. ამიტომ სასურველია მხოლოდ კი არ მოვაცალოთ ფიტი, არამედ ჯერ გადავჭრათ დაზიანებული ტოტი, შემდეგ დავამუშაოთ კუორე კრისტალის 2%-იანი სამუშაო სსნარით და წავუსვათ ბალის მაღამო (თუ ტოტი მსხვილია).

2. კაპლის გადახელვა თუ შეიძლება და როგორ გადავიდოთ?

- თუ ხეს ვიყენებთ წარმოების თვალსაზრისთ რეკომენდებულია სხვლა-ფორმირება, მაგრამ თუ დანორმებულია მოსაჭრელად (უშლის მაგ: სადენებს), შესაძლებელია გადაბელვა (ტოტების სეზონური ან ერთჯერად საჭიროებისამებრ გადაჭრა, ნარგაობის სასიცოცხლო ფუნქციის შენარჩუნების გათვალისწინებით და შესაბამისი რეგულირების წესების დაცვით.).

3. კარალიოკის და ხურმის ნერგები როგორ გავარჩიოთ ერთმანეთისგან, რამდენჯერ კარალიოკი ვიყიდე, იმდენი ხურმა გამომადგა.

- პირველ რიგში შეარჩიეთ სანდო და სერტიფიცირებული სანერგე. ასევე გაითვალისწინეთ კარალიოკის და ხურმის ბალი არ იყოს გვერდიგვერდ, რადგან კარალიოკით დამტვერილი ხურმა, შესაძლოა ერთ მშვენიერ დღეს კარალიოკად იქცეს.

4. ბარდა როგორც ლოგიო ისე ითხება თუ თესვის სხვა ნესტ აქვს, სიმინდთან ერთად შეიძლება დათესვა?

- შესაძლებელია ცალკე თესვა და სიმინდთან ერთადაც.

5. პროცესულს მორი ცელიცადია ნაყოფი, გული ულ-პებები, გარედან საღია, ზიგნიდან კი ნახევრად გაფურ-გული...

- ზემოთ ხსენებული პრობლემების თავიდან ასაცილებლად, კულტურის წარმოებისას გაითვალისწინეთ: მოწყები ზომიერად, აგროვადებში ჩაატაროთ წამლობა და გამოკვება.

6. გაღაზიაში ნაყიდი ციციბურა გამოდგება დასათასად?

- სათესლე მასალა რეკომენდებულია შეიძინოთ მცენარეთა დაცვის მაღაზიებში.



გამოიცვეთ ჟურნალი „აგრარული საქართველო“

ჟურნალის ერთი ცლით გამოცვალა ღირს – 36 ლარი
ნახევარი ცლით – 18 ლარი.

გამოცვალა შესაძლებელია პრესის გაზრდების
სააგენტოს elva.ge-ს
(ტელ.: 577 30 88 47; 032 238 26 73; 032 2 38 26 74),

ასევე პგს ი/მ „ნინო ტომარაძის“
ტელ.: 571 01 62 22 მეშვეობით,

ან ჟურნალ „აგრარული საქართველოს“
რედაქციაში,
ტელ.: 599 16 18 31.

დაგვიკავშირდით მითითებულ ტელეფონის
ნომრებზე და თქვენ მარტივად შეძლებთ ჩვენი
ჟურნალის გამოცვალას და
შეთანხმებულ მისამართზე მიღებას.

ელ-ფოსტა: agroasca@gmail.com



**თმიკა** [®]

გსურთ მიიღოთ ადრეული,
საღი და უხვი მოსავალი?

გთავაზოგთ უნიკალურ,
ჰაერგამტარი მულტის და
დაცვაში პალეოგის ფართო
ასორტიმენტს, რომელიც
დაიცავს მცენარეს
სარეველებისაგან, გადახურების,
დამცველობების და
წაყიცვისაგან.

თბილისი, დიდუბე პლაზა
პირველი სართული.
599 529 529 / 599 761321;
E-mail: tmikadze@yahoo.com